გლეხთა მეგობარი

№ 5

გამოცემა საქართველოს ბანათლების მუშაკთა პავშირისა
ტფილისი
1927

სიო ბერიძა პრინცი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

განმრჩის ქმარი

პროფესიონ. პედაგოგიური
ორგანო
რედაქციის მისამართი:
კალოუბნის ქუჩა № 3.
განათლების მუშაკთა
ცენტრალური სახლი

საქართველოს განათლების
მუშაკთა კავშირის
ცენტრალურ გამგეობის
ორკვირეული

№ 5 დეკემბრის 1 № 5

5207

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიბლიოთეკა-ბიბლიოთეკა-მუზეუმი имени Н. Гришашвили

განიარალების სამზადისი.

საერთაშორისო ურთიერთობაში დღეს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა დელეგაციას გზავნის განიარაღების მომამზადებელ კომისიის მეოთხე სესიაზე ჟენევაში. ეს კომისია თითქმის ორი წელიწადია რაც „მუშაობს“, უკვე სამი სესია გაიმართა, მაგრამ ვერაფითარ შედეგს ვერ მიაღწია. საბჭოთა კავშირი თუმცა მიწვეული იყო ამ სესიებზედაც მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ფაქტიურად მას ამისი საშუალება არ მისცეს, ვინაიდან სესიები დანიშნეს შვეიცარიაში, რომელსაც ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული ჩვენის მხრით ამხ. ვოროვსკის მკვლელობისათვის. საბჭოთა მთავრობამ თანხმობა განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე, თუ კი სესია გაიმართებოდა სადმე სხვაგან და არა შვეიცარიაში, სადაც მას არ შეეძლო დელეგაციის გაგზავნა, მაგრამ იმპერიალისტური ქვეყნების მესვეურებმა ეს არ მოისურვეს. მათ უნდოდათ საბჭოთა კავშირისათვის გადაებრალებიათ განიარაღების საკითხის ჩაშლა და განმარტავდენ: ბოლშევიკებმა არ მიიღეს მონაწილეობა განიარაღების საკითხის გადაწყვეტაში, მაშ ისინი ომისათვის ემზადებიანო. ასეთი განმარტება საჭირო იყო იმპერიალისტებისათვის, რომ ვაემართლებიათ ომისათვის მზადება: საბჭოთა კავშირს საუკეთესო ჯარი ჰყავს, ის ომისათვის ემზადება; მაშ ჩვენც მზად უნდა ვიყოთო და გადიდეს ხარჯები სამხედრო საჭიროებისათვის. ეს ყველასათვის აშკარა თვალთმაქცობა იყო. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა ცნობილია. მან ჯერ კიდევ 1922 წ. გენუის კონფერენციაზე წამოაყენა განიარაღების საკითხი, მაგრამ ის არც კი განიხილეს. შემდეგშიაც ჩვენი მთავრობა მუდამ

მშვიდობიანობას იცავდა და ჰკიცხავდა ყოველგვარ ინტერვენციას, როგორც რუსეთში, ისე ჩინეთში და ყველგან.

ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოები თანახმანი არიან მხოლოდ სხვების განიარაღებაზე, საბჭოთა მთავრობამ კი მინიმუმამდე შეამცირა საკუთარი ჯარი და დაიყვანა ის ნახევარ მილიონზე. ასეთი მცირე ჯარი ტერიტორიასთან შედარებით არც ერთ სახელმწიფოს არა ჰყავს დღეს. ყოველივე ეს ცხადყოფს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას.

მაგრამ იმპერიალისტები ყველაფერს თავისი არშინით ზომავენ. ისინი ხომ უფრო მაშინ იწყებენ მშვიდობიანობაზე ლაპარაკს, როცა ომისთვის ემზადებიან. ეს ხომ მათი ნაცადი ხერხია. ასე ესმით მათ ჩვენი გულწრფელი ზრახვებიც. არც თვითონ არიან მშვიდობიანობის მომხრენი და არც ჩვენი სჯერათ. ეს ბუნებრივია და გასაგები. როგორია ჩვენი დამოკიდებულება ომისა და განიარაღებისადმი? კაპიტალისტურ ხანაში ომის საბოლოოდ თავიდან აშორება შეუძლებელია. ომის შესაძლებლობა მოისპობა კაპიტალიზმთან ერთად. ამიტომ ვისაც ომის მოსპობა სურს, უნდა იბრძოლოს კაპიტალიზმის მოსასპობად და სოციალიზმის დასამყარებლად.

იმპერიალიზმი ძალადობის სისტემაა; ის ემყარება შეიარაღებულ ძალას, რომ მორჩილებაში იყოლიოს კალონიები და ნახევრად-კალონიები. გაბატონებულ სახელმწიფოთა სამხედრო ძლიერების შესუსტებას მოჰყვება ჩაგრულ ერების განთავისუფლება. ხელები გაეხსნება პროლეტარიატსაც და დადგება კაპიტალიზმის აღსასრული. ცხადია, ასეთ პირობებში იმპერიალისტურ სახელმწიფოებს არ შეუძლია განიარაღებაზე დათანხმება. ეს იქნებოდა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის თვითმკვლელობა. მათი აღსასრულის დასაწყისი.

ამიტომ ვუყურებთ ჩვენ უიმედოთ განიარაღების კონფერენციას და მის მომამზადებელ კომისიის მუშაობას. არაფერი რეალური აქედან არ გამოვა. ილაპარაკებენ განიარაღებაზე და აწარმოებენ შეიარაღებას.

მაშ რატომ დასთანხმდა საბჭოთა კავშირის მთავრობა და რატომ გზავნის დელეგაციას ჟენევაში განიარაღების მომამზადებელ კომისიაში, თუ კი აქედან არაფერი რეალური არაა მოსალოდნელი?

მოსამზადებელ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებით საბჭოთა კავშირი საშუალებას უსპობს თავის მტრებს ილაპარაკონ, რომ თითქოს ჩვენ წინააღმდეგნი ვართ მშვიდობიანობის და ამიტომ არ ვღებულობთ მონაწილეობას კომისიების მუშაობაში. ამის შემდეგ ისინი ვეღარ მოგვაწერენ ჩვენ კონფერენციის მარცხს, როგორც ამდენხანს შვრებოდენ. მეორეს მხრით, ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის მეზობლებიც ვერ გაამართლებენ უარის თქმას განიარაღებაზე იმ მოტივით, რომ საბჭოთა კავშირმა მონაწილეობა არ მიიღო კონფერენციის მუშაობაშიო. აი რა გარემოებას უწევს ანგარიშს საბჭოთა მთავრობა და რამ აიძულა ის მონაწილეობა მიეღო განიარაღების კონფერენციაზე.

საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ, ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა: ,,გამოდის რა მშვიდობიანობის პოლიტიკიდან, საბჭოთა მთავრობა მოითხოვს **სრულ ხაყოველთაო განიარაღებას.** თუ კაპიტალისტური ქვეყნები სრულ განიარაღების გეგმის ერთბაშად ან უახლოეს პერიოდში განხორციელებას მიუღებლად ჩათვლიან, საბჭოთა დელეგაცია თანახმაა თანდათანობით გატარებულ იქნეს ეს გეგმა კონფერენციის მიერ დაწესებულ ვადაშიო.'' ამ პირობის გარეშე რასაკვირველია, ლაყბობაა მშვიდობიანობაზე ლაპარაკი.

გაფრთხილება

ზოგიერთი ადგილკომები ძლიერ **აგვიანებენ ხვედრი ფულის გამოგზავნას,** რაიც დიდად აბრკოლებს ჟურნალის თავის დროზე გამოსვლას.

დაბეჯითებით ვთხოვთ ასეთ ამხანაგებს, ადგილკომებს და ერთეულ ხელის მომწერლებს, **მათზე დარჩენელი ჟურნალის თვიური საფასური დაჩქარებით გადმოგზავნოს რედაქციაში.**

ტ. დ. კოკრნეიჩიკი.

პედაგოგიური წრთობის კულტურისათვის.

II.—ის რაც უნდა იყოს.

(ბრძოლა პედაგოგიური ცოდნის მინიმუმისათვის)

ჩვენ გვჭირდება კულტურული პედაგოგი, თუნდა იმდენად მაინც, რამდენადაც კულტურულნი არიან თავიანთ დარგებში ექიმი, ინჟინერი, სხვაო-მემანქანე, ვექილი და სხ. ამისათვის ჩვენ უახლოეს მიზნად უნდა დავისახოთ იმ ბის წაშლა-გაქარწყლება, რომელიც არსებობს მასწავლებლის დღევანდელს მომზადებასა და იმ მომზადების შორის, რომელიც საჭიროა დაახლოვებით-მაინც ნორმალური მუშაობისათვის, სახელმწიფოს მოთხოვნილებათა და მოზარდი ბავშის ორგანიზმის თავისებურობასთან შეფარდებით. ჩვენი ლოზუნგი—ჩვენი მასწავლებლობის მინიმუმი პედაგოგიური ცოდნა-მომზადება—უნდა იქცეს ცოცხალ აქტუალურ საქმედ. მინიმალური პედაგოგიურ კულტურისათვის ბრძოლა უნდა იყოს დაუნდობელი, შეუბრალებელი და გადამწყვეტი.

კულტურული პედაგოგის აუცილებლობას ყველა აღიარებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას ერთნაირად არ ესმის პედაგოგიური კულტურის, ანუ მომზადების მინიმუმი. ზოგიერთს მიზანშეწონილად და სრულიად საკმარისად მიაჩნიათ —ვუჩვენოთ მასწავლებელს—თუ როგორ უნდა სკოლაში მუშაობა, აღჭურვოთ იგი პრაქტიკული ჩვევებით, მეცადინეობის ჩასატარებელი ზოგიერთი იარაღებით და მივსცეთ რეცეპტი ცხოვრების ყველა შემთხვევებისათვის და ამით დავკმაყოფილდეთ.

ასეთი დიდი და რთული საკითხისადმი, როგორიც არის პედაგოგთა კულტურა, აგრე შეზღუდულ-უტილიტარული შეხედულებისა და ვიწროდ განსაზღვრულ პრაქტიკულ მიდგომაზე უფრო მავნებელი არა იქნება-რა. არ არის, რა თქმა უნდა, სადავო, რომ თანამედროვე მასწავლებელს, რომელიც პედაგოგიურ მუშაობის ჩატარების ტეხნიკაში მოუმზადებელია, რომელიც გაფანტულია და ზოგჯერ სრულიად დაბნეული ყველა ამ „კომპლექსებში, დალტონ გეგმებში, პროექტთა მეთოდებში“ და სხვა მრავალში, უნდა დავეხმაროთ, რათა შეითვისოს მუშაობის რაც შეიძლება ეკონომიური ზომა-საშუალებანი და წესები, საჭიროა ვუჩვენოთ მას მუშაობის ჩატარების პრაქტიკული ნიმუშები, მაგრამ შეუძ-

ლებელია მივსცეთ ყოველი მისი ნაბიჯის წინასწარ გასაზომ-გასათვალისწინებელი, ანუ განმსაზღვრელი რეცეპტი, რომელსაც მან უნდა დაეყრდნოს და დაენდოს, როგორც ბრმამ კედელს. ამგვარ რეცეპტებს **კ. დ. უშინსკი** ოდესღაც ადარებდა სოფლელი დედაბრის რეცეპტს, რომელიც ამბობს: „შენ, ჩემო ნათლიავ, აიღე ეგ სიტყვები, დასწერე ქაღალდზე, შემდეგ დასწვი იგი და ფერფლიკი წყალში გალესილი დალიე დილა-ადრიან უზმოზე და შემდეგ ნახავ, თუ რა გამოვაო*).

გარდა ამისა არ შეიძლება მასწავლებლის შეზღუდვა მარტო ვიწრო პრაქტიკული საკითხებით, მას აუცილებლად ეჭირვება გარკვეული თეორეტიული მომზადება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ თეორია და პრაქტიკა არ არიან ცა და მიწასათვის დაშორებულნი, ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ცნებანი, არამედ ისინი წარმოადგენენ ერთი და იმავე პროცესის—შეუჩერებელი წინსვლისა და სრულქმის ორგანიულ ნაწილებს. ყოველი თეორია, რომელსაც ოდნავ მაინც აქვს მეცნიერულ—ობიექტივობის პრეტენზია, აუცილებლად არის შედეგი და ნაყოფი ცხოვრების მოვლენათა შესწავლისა, ექსპერიმენტების დაყენებისა, პრაქტიკულ მოქმედიანობიდან გამოყვანილი დასკვნა, მთელ რიგ ფაქტების, დაკვირვება—გამოცდილებათა და სხ. ეანზოგადოება. თეორია აფართოებს-რა მუშაობის ჰორიზონტს და შლის მისი (მუშაობის) განვითარების პერსპექტივებს, აახლებს, აცხოველებს, პრაქტიკას და გვეხმარება მისი (პრაქტიკის) აზრის გაგებაში. თეორიით, გაუშუქებელი ვიწრო-პირადი გამოცდილება თითქმის სრულიად არაფრად ღირს. მართალია, არ არსებობს ასეთი ცდა, რომელიც არ ემყარებოდეს რაიმე თეორიას ისევე როგორც თეორია არ არსებობს ფაქტებისა და პრაქტიკის გარეშე. ამის შესახებ მშვენივრად ამბობს კ. დ. უშინსკი: „არ არის ისეთი პედაგოგი—პრაქტიკოსი, რომელსაც არ ჰქონდეს—(ახლა კი საწუხაროდ არის) აღზრდის საკითხში თვისი პაწაწა, თუნდაც ბუნდოვანი თეორია. და აგრეთვე არ არის ისეთი გამბედავი თეორეტიკოსი, რომელიც დრო-და-დრო მაინც თვალს არ გადაავლებდეს ფაქტებს. მაგრამ, თუ-კი შეგვიძლია აღზრდის საქმეში კაბინეტურ თეორიას არ ვენდოთ, მით უფრო მეტი საბუთი გვაქვს არ მივსცეთ არავითარი საყურადღებო და ზოგადი მნიშვნელობა პრაქტიკოსის მხოლოდ ღია ცარიელ გამოცდილებას. ნუთუ აღზრდის საქმე ისე ადვილია, უბრალო და მარტივი, რომ საკმაოა მივიღოთ თავის თავზე აღმზრდელის მხოლოდ წოდება, რომ საესებით მივწვდეთ და მივაღწიოთ ამ საქმეს? ნუთუ საკმარისია მხოლოდ რამდენიმე წლის სააღმზრდელო მოღვაწეობა და პირადი დაკვირვებითი გამოცდილება, რომ ავხსნათ და გადავსწყვიტოთ აღზრდის ყველა საკითხები და ამოცანები?..“ და იმავე (ზემოთ აღნიშნულ) წიგნში კ. დ. უშინსკი ბრაზ მორევით კითხულობს:

*) К. Д. Ушинский: „О пользе педагогической литературы“ СПБ. 1895 г.

„რატომ არის შესაძლებელი—არ მოვსთხოვოთ ალმზრდელს წინასწარი (თეორეტიულ—პრაქტიკული) მომზადება თავის საქმეში და მივანდოთ ყველაფერი მისი პირად დაკვირვებასა და საკუთარ გამოცდილებას? განა აღზრდის საქმე ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვინემ მკურნალობა?“

საჭიროა ეგ სიტყვები ყოველმა მასწავლებელმა იცოდეს. აქ უნდა აღვიაროთ, რომ ზოგიერთ მომუშავეთა აზრი—ვითომდა თეორია იყოს რაღაც აბსტრაქტული, ზედმეტი-რამ, გონებაში წარმოდგენილი და მეტაფიზიკური, არის ბურჟუაზიულ იდეალისტური ფილოსოფიის ნაშთი, რომელიც თეორიას, იდეას იხილავს, როგორც მარადიულ წყობის კატეგორიას, რომელიც—მათი აზრით აღმოცენდება თავისთავად და ვითარდება გარემომცველ სინამდვილეთაგან დამოუკიდებლად. მარქსისტული გაგებით-კი—თეორია არის თვით ცხოვრების ნაღები, ადამიანთა პრაქტიკის, შრომა-მოქმედიანობისგან გამომდინარი. ამგვარი თეორიის უარყოფა კი ჩვენ არ შეგვიძლია და არც არის საჭირო. მხოლოდ და მხოლოდ თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთთან დაკავშირებით შეიძლება წინსვლა და განვითარება.

მასწავლებლისთვის აუცილებელი საჭიროა თეორეტიული ცოდნაცა და პრაქტიკული გამოცდილება—უნარიანობაც. მან უნდა გაასწოროს თავისი პედაგოგიური მოუმზადებლობა, თუ უვიცობა. ამისთვის საჭიროა—სწავლა, მეცადინეობა, ცოდნისა და გამოცდილების მოპოება, რომელნიც გაუადვილებენ მას მუშაობას და დაეხმარებიან საზოგადოების მიერ სკოლისადმი წაყენებულ ძიზანმოთხოვნილებათა მიღწევას, რაც შეიძლება მოკლე დროში და რაც შეიძლება ეკონომიურ საშუალებებით.

და ხომ თვით კარგად მომზადებულმა პედაგოგმაც უნდა ისწავლოს მთელს თავის სიცოცხლეში, ვინაიდან მართალია დისტერვეგი როცა ამბობს: „მასწავლებელს მხოლოდ მანამდე შეუძლია ასწავლოს, სანამ თვითონ სწავლობს. ვინც თავად მიატოვა სწავლა, შესწყვიტა განვითარება, მას არც სხვისი განათლება შეუძლია.“

და თუ ცნობილი ანდაზები: „დაგუბებული წყალი ლპება,“ „ვინც წინ არ მიდის, ის უკან რჩება„ და „აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო“ შეიძლება ითქვას ყოველ ადამიანზე, მათ უმეტეს ძისაღებია იგი მასწავლებლის მიმართ, რომელიც პედაგოგიური პროცესის სწორი ორგანიზაციისა და აგების მიზნით ახდენს რა ზეგავლენას ბავშის ზრდა--განვითარებაზე, თვითონაც განუწყვეტლივ უნდა იზრდებოდეს, ვითარდებოდეს, განუწყვეტლივ ავსებდეს, აფართოვებდეს და აღრმავებდეს თავის ცოდნას, როგორც ზოგადი განათლების სფეროში, ისე და განსაკუთრებით სპეციალურ—პედაგოგიურ დარგში.

რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა პედაგოგიურ საკითხებში იმისთვის, რომ მან ცოტად, თუ ბევრად სწორად და დაუმახინჯებლად შესძლოს საბჭოთა შრომის სკოლაში მუშაობა და ასწიოს, აამაღლოს თვისი პედაგოგიური კულტურა.

უწინარეს ყოვლისა მასწავლებელს ზოგადი პედაგოგიკიდან უნდა ჰქონდეს გარკვეულ ცოდნათა ჯამი, ე. ი. მან უნდა იცოდეს—რა არის აღზრდა მარქსისტული თვალსაზრისით, რა-და-რა უმთავრეს, ანუ ძირითად ნაწილებისაგან შესდგება პედაგოგიკა, რა არის აღზრდის საბჭოთა სისტემის აგების მიზნები, ამოცანები და პრინციპები? რომ ხაზი გაუსვათ აღზრდის მიზნებისა და ამოცანათა ჩვენ-მიერ გაგების თავისებურობას, საჭიროა შევადაროთ, დაუპირდაპიროთ ისინი რუსეთის რევოლუციის წინა დროისა და ევროპა-ამერიკის თანამ დროვე ბურჟუაზიულ სკოლათა მიზნებს. აღვიარებთ-რა, რომ ჯერ-ჯერობით, უახლოეს წლებში შეუძლებელია მასწავლებელთათვის პედაგოგიურ სისტემათა კურსის მიწოდება, (რომელიც თავის თავად დიდმნიშვნელოვანი და საინტერესოა და ყოველისაბას ვერ აიტანს ვერც ერთი კულტურული პედაგოგი),—ჩვენ ვფიქრობთ, რომ პატარა ექსკურსიები—მაინც ახლო წარსულის სფეროებში აუცილებელი საჭიროა, ისევე, როგორც აუცილებელია თანამედროვე ბურჟუაზიულ სკოლათა მიზნების, ამოცანათა და აღზრდის სისტემათა არსის გაცნობა. ეს მიიყვანს მასწავლებელს თანამედროვე საბჭოთა სკოლის მშენებლობის ღრმად გაგებამდე და მისი განვითარების გზებისა და პერსპექტივების შეცნობამდე.

შემდეგ ამისა მასწავლებელისთვის საჭიროა იცოდეს—როგორ არის მოწყობილი სახალხო განათლების საქმე საბჭოთა რესპუბლიკებში, მისი აგების ძირითადი პრინციპები, მისი დამოკიდებულება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ-პოლიტიკურ ზრდასთან, სხვადასხვა საგანმანათლებლო დარგთა როლი, ადგილი და ურთიერთ დამოკიდებულება მუშაობის საერთო სისტემაში—(სოციალური აღზრდა, პროფესიონალური განათლება, საპოლიტგანმანათლებლო მუშაობა და სხ.)

მასწავლებლის საერთო პედაგოგიურ მომზადებაში ფრიად დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პედოლოგიას, რომელიც იკვლევს და სწავლობს ბავშის განვითარების ძირითად კანონებს და მისი ყოფა-ქცევის მექანიზმს, აგრეთვე იძლევა ბავშის შესწავლის საჭირო მეთოდებსა და ტეხნიკას და გვიჩვენებს სწორ ჰიგიენურ წესებს მისი სწორი ფიზიკური განვითარებისათვის.

პედოლოგიურ საკითხების დამუშავებით მასწავლებელმა უნდა მიიღოს პედოლოგიის საფუძვლების და ბავშის შესწავლის საერთო მეთოდების ცოდნის გარდა, პედალოგიის მიერ მოცემულ დებულებათა გამოყენება თავის ყოველდღიურ მუშაობაში, მთლიანი პედაგოგიური პროცესის გაღრმავებისა და გასწორება გაუმჯობესების მიზნით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მასწავლებლის—მიერ პედოლოგიის შესწავლას—მთელი სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის მეთოდისა და ტეხნიკის რაციონალურ დაყენებასთან დაკავშირებით; ვინაიდან,—თუკი აღზრდის შინაარსი ემყარება უმთავრესად საზოგადოების, სახელმწიფოს-მიერ წამოყენებულ მიზნებსა და ამოცანებზე,—მუშაობის ჩატარების მეთოდები და ტეხნიკა საბავშო-საალმზრდელო დაწესებულებებში აგებულია უმთა-

ვრესად ბავშვის ყოფა ქცევის ყოველ მხრივ და დაკვირვებულ შესწავლაზე, მისი ჰასაკობრივი და სოციალურ—ბიოლოგიური ხასიათის ფაქტორებისაგან გამოწვეულ თავისებურობასთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, ჩვენი მასწავლებლობა პედოლოგიას ძალიან ნაკლებად იცნობს. ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, პედაგოგიური ფსიქოლოგია და ბავშის ჰასაკის ფსიქოლოგია—ყველა ეს დისციპლინები, რომელნიც ბავშის შესახებ მდიდარ მასალას შეიცავენ და შეიძლება გამოყენებულ იქნეს თანამედროვე პედოლოგიის მიერ,—პედაგოგთა უმრავლესობისათვის უცნობია, როგორც წარსულში, ისე აწმყოშიც და ეს გარემოება—ბავშების ყოფა-ქცევისა და განვითარების საკითხებთან გაუცნობლობა—მეტად ძვირად უჯდება სახელმწიფოს. ბავშები ხშირად პირდაპირ სახიჩრდებიან მასწავლებლის მიერ მათდამი მიდგომის უცოდინაროებისა გამო.

ერთი მასწავლებელი ქალი ამაყად და თავმომწონედ უამბობდა ინსპექტორს, თუ როგორი მოხსენება გააკეთა მისი სკოლის მეორე ჯგუფის მოწაფემ, 9 წლის გოგონამ, ჩინეთის რევოლუციის განვითარების გზების შესახებ. ადვილი წარმოსადგენია, რა თქმა უნდა, თუ როგორი იქნებოდა ეს მოხსენება, და ესეც შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ იმ ბავშს ამიერიდან სამუდამოდ შეზიზღდებოდა ჩინეთის რევოლუცია. ხომ ხშირად აღწევენ ჩვენი პედაგოგები ასეთ უკუღმართ მიზანს, რომ მოწაფეები გარბიან საზოგადოებათმეცნიერებს გაკვეთილებიდან. ყველაზე უფრო საინტერესო და მიმზიდველი საგანი,—მუშათა და გლეხთა თავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლათა აღწერილობებით აღსავსე, მდიდარი, განსაკუთრებული ლამაზი და მხატვრული მომენტებით. და რა უყვეს მას ჩვენმა პედაგოგებმა? – გამოაშრეს, გამოფიტეს, ცხოველი სული ამოსწვადეს და ცოცხალ სახეებისა და ნათელ სურათების ნაცვლად აწვდიან ბავშებს ბუნდოვან ჩონჩხს, ნისლით და ბურუსით მოცულ სქემას „ჩინეთის რევოლუციის განვითარების გზების შესახებ", რომელიც—მართალია, მაღალი ჰასაკის ბავშთათვის გამოსადეგია, საინტერესო და საჭიროც, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია პირველი, დაბალი ჯგუფების ბავშებისათვის.

ჩვენი მასწავლებლები ბავშში ბავშს ვერ ხედავენ, ვერ ამჩნევენ მის ნორჩს, მინიატურულ ბუნებას. სწორედ ამიტომაც ფერხდება მთელი პედაგოგიური მუშაობა.

ჭეშმარიტი პედაგოგობა ეწევა სკოლის მიზნებისა და ამოცანათა ბავშის განვითარების თავისებურობასა და ინტერესებთან მოხერხებულად შეთანხმებაში, მათი უმტკივნეულოდ შერწყმა-შეთავსებაში. ჩვენში-კი ეს არ ხდება. ჩვენში მეტად გამოფიტულ-გამომშრალია სასკოლო მასალა, მეტად სქემატიურია მთელი პედაგოგიური პროცესი.

დროა მასწავლებლობამ იბრუნოს პირი ბავშისაკენ.

ზოგადი პედაგოგიკა, სახალხო განათლების ორგანიზაცია და პედოლოგია აუცილებელი საფუძველია სწავლა-აღზრდითი მუშაობის დიდაქტიურად სწორად აგებისათვის.

მასწავლებლის პედაგოგიური მომზადების შემდეგი მომენტი უნდა იყოს დიდაქტიკა, რომელიც შეიცავს საერთო პრინციპებსა და დებულებებს პედაგოგიურ პროცესების შესახებ, კერძო მეთოდებს, მუშაობის წესებსა და საერთო სასკოლო საკითხებს. სხვანაირად რომა ვსთქვათ, ჩვენ გვაქვს ზოგადი დიდაქტიკა, სპეციალური დიდაქტიკა და სკოლის შესწავლა. ზოგადი დიდაქტიკა არის ერთი უმთავრესი ნაწილთაგანი მასწავლებლის პედაგოგიური მომზადებისა. იგი შეიცავს პრინციპიალური ხასიათის საკითხებს—მასწავლებელთა, მოწაფეთა და სასწავლო მასალების შესახებ. ეს არის **პედაგოგიური პროცესის თეორია.** მაშასადამე ამაში შევლენ შემდეგი საკითხები: მასწავლებლის როლი, როგორც პედაგოგიური პროცესის ორგანიზატორისა, მისი მომზადება და მისი შრომის ორგანიზაცია; მოსწავლეთა მიმართ: 1) ძირითადი დიდაქტიური მოთხოვნილებანი და რა როლს ასრულებენ—ინტერესი, ყურადღება, ასოციაცია, აპერცეპცია, ემოცია და ალღო და მათი გამოყენება პედაგოგიურ მიზნებისათვის; 2) სასწავლო მუშაობათათვის მოწაფეთა ორგანიზაციის სისტემები—(საკლასო, ლაბორატორიული, პროექტების და სხ. სისტემები); 3) მოსწავლეთა ცხოვრების ორგანიზაცია (პიონერ-ორგანიზაციები, თვითმართველობანი). რაც შეეხება სასწავლო მასალას, ამაში შედის: დიდაქტიური მასალების შერჩევა და დალაგება, სწავლების სისტემათა ორგანიზაცია—(კომპლექსური სისტემა, პროექტების მეთოდი, საგნური სისტემა), საბჭოთა სკოლის მუშაობის ზოგადი პრინციპები—მხარეთცოდნეობა, შრომითი. ზოგად დიდაქტიკაში შედის აგრეთვე: მუშაობის საერთო, ზოგადი მეთოდები და ფორმები—(კვლევითი და ილიუსტრატიული მეთოდები, ეკსკურსიული, ლაბორატორიული და სწავლების სხვა ფორმები) და მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საკითხები.

მარტო ამ საკითხების უბრალო ჩამოთვლიდანაც სჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და ყველასათვის აუცილებელი ზოგადი დიდაქტიკის ცოდნა. საბჭოთა ზოგადი დიდაქტიკის ცალკე კურსი-კი არ არსებობს.

საბჭოთა სკოლის თეორია და პრაქტიკის გარშემო ცალკე დიდაქტიური საკითხები გაფანტულია მრავალ წიგნებსა და აგრეთვე პედაგოგიურ ჟურნალების წერილებში.

სპეციალური დიდაქტიკა შეიცავს ყველა კერძო მეთოდიკებს, მაგ.: სამშობლო ენისა, არითმეტიკისა, საზოგადოებათმეცნიერებისა, ბუნებისმეტყველებისა და სხვადასხვა პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავების მეთოდებს, მაგ.—ჰიგიენური, შრომითი, საზოგადოებრივობისა და სხ.

როდესაც მასწავლებელმა არ იცის პედაგოგიური მუშაობის ჩატარების ტეხნიკის სწორად დაყენება, მაშინ ეს კერძო მეთოდები, წესები და მუშაობის

საშუალებანი ამ ცალკე დისციპლინებისა, რომელნიც ტარდებიან საბჭოთა სკოლებში, იღებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. წერა-კითხვის, ანგარიშისა და სხ. სწავლების საუკეთესო ტეხნიკის შეთვისება აუცილებლად საჭიროა მასწავლებლისათვის განსაკუთრებით—მოსწავლეთა ცოდნის საერთო დონის ამაღლების მოთხოვნილებასთან დაკავშირებით.

სკოლის მცოდნეობა, რომელიც შეიცავს შემდეგ საკითხებს: სასკოლო შენობა, გათბობა-განათება, ავეჯი და სხვა სასკოლო მორთულობა,—კაბინეტები, ლაბორატორიები, წიგნთსაცავები, ფინანსიური საკითხები, საქმის მწარმოებლობა, ანგარიშები და სხ.,—უნდა იცოდეს ყოველმა მასწავლებელმა.

ყველა ეს საკითხები შედის რუსეთის გან. სახ. კომ.-ის სოც. აღზრდის მთავ. მმართ. კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილების მიერ დამუშავებულ პროგრამის მინიმუმში.

ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი საბჭოთა მასწავლებელი, რომელიც მოწოდებულია მოზარდი თაობის აღზრდისათვის, სრულიად რეალურ გზაზედ დგება თვისი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. ჩვენი, საბჭოთა პედაგოგის კულტურა განუწყვეტლივ უნდა იზრდებოდეს, პედაგოგი უნდა იყოს მართლა პედაგოგი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით.

ჩვენ გვჭირდება კულტურული პედაგოგი და კიდეც გვეყოლება იგი*).

დ—ლი.

უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო მუშაკთა ხელფასისათვის

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინება, მისი განვითარება და სათანადო დონემდე აყვანა უდიდეს ამოცანების შესრულებას აკისრებს როგორც უმაღლეს სასწავლებლებს, აგრეთვე მათ დამხმარე სამეცნიერო დაწესებულებებს. კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, ჩვენი ჩამორჩენილი მიწადმოქმედების და მრეწველობის საჭიროებანი მოითხოვენ მათ გადაყვანას მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევათა საფუძველზე და ამ მიღწევათა გამოყენებას მთელი შესაძლებელი სისავსით.

ამისათვის საჭიროა მომზადება მეურნეობის ყველა დარგებისათვის სათანადო სამეურნეო და სატეხნიკო ცოდნით აღჭურვილ მაღალ კვალიფიკაციის მუშაკთა ახალი კადრისა, რომელიც, ერთის მხრივ, შეავსებს ამ მოთხოვნილებაში არსებულ ნაკლულოვანებას და, მეორეს მხრივ, შესცვლის ძველს, წარმავალ ძა-

*) «Основные вопросы повышения квалификации работников соцвоса сбор. первый. Москва—1927 г. 36—52 стр.

ლებს. ასეთი დიდი ამოცანის შესრულება პირნათლად და იმ დიდი საჭიროების ფარგლებში, რომელსაც უდგენს ჩვენი მეურნეობა უმაღლეს სასწავლებლებს, მხოლოდ მაშინ შეიქნება შესაძლებელი, თუ ხსენებული სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებანი შესაფერის პირობებში იქნებიან ჩაყენებულნი. ამ შესაფერის პირობათა შორის უმთავრესია ორი: ერთი—უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მოწყობა სამეცნიერო მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყოებით, იარაღებით და სხ. დამხმარე ელემენტებით, ხოლო მეორე —ამ დაწესებულებათა მუშაკებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ მათ საშუალება ჰქონდეთ შესწირონ მთელი თავისი ცოდნა, ენერგია და დრო სამეცნიერო კვლევა-ძიებას.

დღევანდელ ფინანსიურ მდგომარეობის პირობებში, რასაკვირველია, სახელმწიფო ვერ გასწვდება ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებას ნორმალურ ზომამდე, კერძოდ პირველი საჭიროება რამოდენადმე მოგვარებულია. გაცილებით მწვავედ სდგას თავიდანვე უმაღლეს სასწავლებელთა და მათ დამხმარე სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების ნივთიერი მდგომარეობის საკითხი, რომელიც მუდამ წარმოადგენს, როგორც პროფესიონალურ, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა ყრილობებისა და თათბირების მჯელობის საგანს. ამავე დროს ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ყრილობები და თათბირები უდავოდ აღიარებენ ამ დარგში არსებულ არა ნორმალურ მდგომარეობას.

ასე, მაგალითად, ს. ს. რ. კ. განათლების მუშაკთა მეექვსე ყრილობის რეზოლუციები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების არსებული ხელფასი სრულიად შეუფერებელია იმ მაღალ კვალიფიკაციისათვის, რომელსაც ეკუთვნიან ხსენებული მუშაკები ეს გარემოება ხელიდან აცლის სამეცნიერო დაწესებულებებს სტიმულს, რომელიც საჭიროა, რომ შესაძლებელი გახდეს სამეცნიერო მუშაკთა მიმაგრება ამ დაწესებულებებზე და აგრეთვე შევსებულ იქნას ეს დაწესებულებანი სათანადო კვალიფიკაციის მუშაკებით.

ასევე იქნა აღნიშნული სამეცნიერო მუშაკთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობის მიერ, რომელიც შესდგა მიმდინარე წლის თებერვალში, რომ უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების ხელფასის საერთო ზრდის მიუხედავად, მათი შრომის არსებული ხელფასი მაინც ძალიან მცირეა.

კერძოდ საქართველოსათვის ეს თავისთავად სწორი დებულებანი, რომლებიც სავსებით დააღასტურეს ზემოდ დასახელებულმა ყრილობებმა, უაღრესად უდავოდ უნდა ჩაითვალოს. ეს გარემოება აღიარებული იქნა ს. ს. რ. კავშირის განათლების ც. კ. პლენუმის მიერ წარსულ წლის აპრილის მიღებულ დადგენილებით; უკანასკნელი აღნიშნავს საქართველოს (და აგრეთვე სომხეთის) უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო მუშაკთა განსაკუთრებით მცირე ხელფასს, რომე-

ლიც გაცილებით დაბალია, ვიდრე კავშირის სხვა რესპუბლიკებში ამავე კატეგორიის მუშაკთათვის მიღებული ხელფასი, და ამის გამო საჭიროდ მიაჩნია საათანადო ყურადღება მიექცეს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დაბოლოს, მიმდინარე წლის ივლისში, ა/კ. რესპუბლიკების განათლების მუშაკთა სამეცნიერო მუშაკების სექციების წარმომადგენელთა თათბირმაც საჭიროდ სცნო აღენიშნა, რომ საქართველოს და სომხეთის სექციების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ რესპუბლიკების სამეცნიერო მუშაკთა ხელფასის გამოსწორებას.

უკანასკნელი დადგენილებიდან ცხადად სჩანს, რომ არანორმალური მდგომარეობა, რომელიც აღნიშნული იყო წინა ყრილობების მიერ, დღემდე მოუგვარებელი რჩება და ეს საკითხი ჯერჯერობით პირვანდელ მდგომარეობას არ გასცილებია.

თუ რამდენად ჩამორჩენილია საქართველო სხვა რესპუბლიკებთან შედარებით სამეცნიერო მუშაკთა ხელფასის მხრივ, ამას ნათლად გვიხატავს პროფესორების განაკვეთების ქვემოდ მოყვანილი ცხრილი*):

რესპუბლიკები	წელიწადი					შენიშვნები
	1923/4	1924/5	1925/6	1926/7	1927/8	
რუსეთის სფსრ	48	—	—	110	140	ცარიელი ადგილები დატოვებულია საათანადო ცნობების უქონლობის გამო
უკრაინის სსრ	73	—	—	168	—	
ბელორუსიის სსრ	77		—	100	—	
აზერბეიჯან. სსრ	100	—	—	180	—	
საქართველოს სსრ	45	45	72	72	72	

მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, რომ 1923/24 წ. ასევე, როგორც 1926/27 წ. განაკვეთების სიდიდის მხრივ საქართველოს, სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის, უკანასკნელი ადგილი უჭირავს. მართალია, 1923/24 წლის განაკვეთი 45 მანეთიდან 1925/26 წელს 72 მანეთამდე, ე. ი. 60%-ით გაიზარდა, მაგრამ ამავე დროს სხვა რესპუბლიკებში არსებული განაკვეთები, რომლებიც აბსოლუტური ოდენობით გაცილებით დიდი იყო, პროცენტულად წინანდელზე უფრო მეტად გაიზარდა, სახელდობრ: რუსეთში—191,7%-ით, უკრაინაში—130%-ით, აზერბეიჯანში—80%-ით და მხოლოდ ბელორუსიაში—30%-ით; ამასთანავე ამ საერთო ზრდის შემდეგ, ჩვენში ამ ჟამად არსებული განაკვეთები, რომლებიც სამი წლის განმავლობაში, ე. ი. 1925/26 წლიდან დღემდე უცვლელად რჩება, პროცენტულად მაისც დაბალია სხვა რესპუბლიკების განაკვეთებთან შედარებით და შეა-

*) ცნობები 1926/27 წლის შესახებ ამოკრეფილია წიგნაკიდან: „Спутник делегата с'езда". Москва 1927 г.

დენს: ბელორუსიისას—72%-ს, რუსეთისას—51,4%-ს, უკრაინისას—42,8% ს და აზერბეიჯანისას—40%-ს. მხედველობაშია მისაღები, რომ უკრაინაში, ბელორუსიაში და აზერბეიჯანში არსებული განაკვეთები, შესაძლებელია, მიმდინარე წელს გადიდებულ იქნა კიდევ და, ამის მიხედვით, ჩვენში არსებულ განაკვეთის პროცენტული შეფარდება მათთან უფრო დაბალიც აღმოჩნდეს.

ასეთივე პროცენტული შეფარდება უნდა ვიგულისხმოთ დასახელებულ მოკავშირე რესპუბლიკათა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლების დანარჩენ კატეგორიების სამეცნიერო მუშაკთა ხელფასისათვის.

რაც შეეხება ჩვენ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების ხელფასის განაკვეთს, ამის დასასურათებლად, საკმარისი იქნება აღვნიშნოთ საქართველოს ცენტრალურ არქივის და სამეცნიერო-ტეხნიკურ თანამშრომელთა ხელფასის განაკვეთები; ამ დაწესებულების განყოფილების გამგეთა განაკვეთის სიდიდე 70-80 მან. ფარგლებს არ გასცილებია, ხოლო არქივისტების განაკვეთი კი—40-60 მანეთს არ აღემატება.

ხელფასის ასეთი სიმცირე იძულებულს ჰყოფს უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებს ან ზედმეტად დაიტვირთონ თავისავე დაწესებულების შიგნით, ან მის გარეშე ეძებონ დამატებითი სამუშაო, რომელიც საშუალებას მისცემს მათ საცხოვრებელ მინიმუმამდე აიყვანონ ხელფასი. ამ გარემოებას ხსენებული პირნი ჩვეულებრივ მასწავლებლის მდგომარეობის სფეროში გადაჰყავს და, რაც უეჭველია, სათანადო გავლენას მოახდენს მათ კვალიფიკაციაზე, რომელიც ამაღლების ნაცვლად მათი დიკვალიფიკაციის სახით მოგვევლინება. მეცნიერების დარგში ამ უკუსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში, სადაც კვალიფიციურ სამეცნიერო მუშაკთა რაოდენობა მცირეა და უაღრესად საჭიროა მათი ახალი კადრების მომზადება ახალგაზრდა სამეცნიერო ძალებისაგან (ასპირანტები, ლაბორანტები, ახალგაზრდა ლექტორები და სხვა); ამავე დროს ეს უკანასკნელნი სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და მასთან დაკავშირებულ კვალიფიკაციის წარმატებისათვის მუშაობასთან ერთად, ხელფასის სიმცირის გამო, იძულებულნი ხდებიან აგრეთვე დაიტვირთონ თავი გარეშე მუშაობით. ამრიგად მათი პირდაპირი დანიშნულება განუწყვეტელი მუშაობა მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის საჭირო ცოდნის შესაძენად-უკან რჩება და ჩვენს წინაშე მკაფიოდ ისახება ახალი სამეცნიერო ძალთა მომზადების შეუძლებლობის საშიშროება.

კულტურულ განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელიც აძლიერებს უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა მნიშვნელობას და წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების და, მაშასადამე, მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითად ფაქტორს; ეს გარემოება აუცილებლად ხდის სამეცნიერო მუშაკთათვის ნორმალურ შრომის პირობების შექმნას.

ამ ამოცანის განხორციელების ერთად ერთი გზაა—სამეცნიერო მუშაკთა ხელფასის გადიდება, თუნდა იმდენად, რომ საჭირო აღარ იყოს მათთვის დამატებითი სამუშაოს ძებნა.

ამ მიმართულებით უნდა გადაიდგას პირველი ნაბიჯი და ჩვენი უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების განაკვეთი გათანასწორებული უნდა იქნას რუსეთის ს. ფ. ს. რ. სამეცნიერო მუშაკთა განაკვეთთან მაინც.

კ.

ცოტა რამ ტეხნიკურ პერსონალთა ხელფასის შესახებ.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად ტეხნიკურ მოსამსახურეთა ხელფასის მდგომარეობაც უნდა ჩაითვალოს. აქ საქმე გვაქვს საერთოდ საგანმანათლებლო დაწესებულებათა და კერძოდ კი სკოლების ტეხნიკურ პერსონალთან.

ამათი ხელფასის წარმატების საქმე **ტაატით მიდის** და მეტად ენათესავება პედაგოგიურ პერსონალთა ხელფასის წარმატების საკითხს.

შესამჩნევი გაუმჯობესება ეტყობა ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ტეხნიკურ პირთა ხელფასს. დღემდი ტფილისის შრომის სკოლებში ეძლეოდათ 25 მ. ამჟამად კი ღებულობენ 28 მ. აღსანიშნავია ხელფასის გადიდება ზოგიერთ მაზრებში, საცა ხელფასი აყვანილია 25 მანეთამდე. მაგრამ ზოგიერთი მაზრები ამ მხრივ მეტად ჩამორჩენილნი არიან.

მეტად ცუდ მდგომარეობაშია სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფნი ტეხნიკური პირები. მათ ეძლევათ ძველებურად 19 მ. 80 კ. ეს გარემოება იწვევს საკითხს მათი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

მაგრამ, ცხადია, რომ ამის შესაძლებლობა მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოს ფინანსიურ საშუალებებზე—ბიუჯეტის გადიდებაზე. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ამაზე უმნიშვნელოვანეს საკითხის, სახალხო განათლების ფონდის გადიდების საშუალებათა ძიების დროს, ეს საკითხი ხშირად მივიწყებული რჩება და მექანიკურად თუ მოექცევა ხოლმე სათანადო ფონზე, რასაც აუცილებლად ჯეროვანი ყურ დღება უნდა მიექცეს,

ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ქალაქისა და სოფლის (თუ გნებავთ სამუშაოს ხასიათის მიხედვით ერთდაიგივე ტიპის) ტეხნიკურ მუშაკთა ხელფასის სიჭრელე (ერთდაიგივე ქალაქშიაც. მაგ. ტფილისში გან. განყ. კმაყოფაზე მყოფი და განსახკომის კმაყოფაზე მყოფი) ააშკარავებს ხელფასის საკითხისადმი **ცეხურ მიდგომის** ტენდენციას, რაც, დღეს თუ ხვალ, უნდა იქნეს გამოსწორებული.

ჩვენმა სამაზრო განყოფილებებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები ჩამორჩენილ ხელფასთა წამოსაწევად. კოლექტიურ ხელშეკრულებაში უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე უფლებრივი საკითხები.

უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ტეხნიკურ პერსონალიტა ხელფასი შედარებით მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. ის ვერ გასცილდა 19 მ. 80 კაპ. ცენტრალურმა გამგეობამ ამ საკითხს ბოლო დროს ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. იმედი გვაქვს—ხელისუფლებაც მიაქცევს ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას და მათ ხელფასს გაუთანასწორებს თუნდაც ამჟამად არსებულ ადგილობრივ კმაყოფაზე მყოფ ტეხნიკურ პირთა ხელფასთან. (28 მანეთი).

ტფილისის ადგილკომების გადარჩევა

10 ნოემბრიდან ქ. ტფილისში დაიწყო ადგილკომების გადარჩევა. ადგილკომების გადარჩევა საერთოდ მაჩვენებელი და დამახასიათებელია მათი მუშაობისა და საქმიანობის და იმავე დროს კავშირის მასის აქტიურობისა და პროფსაკითხებით დაინტერესებისა. ჩვენი კავშირისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მიმდინარე წლის არჩევნები და აი რატომ:

რაიონულ ადგილკომების დროს, ჩვენი კავშირის მასა შედარებით დღევანდელთან მოწყვეტილი, დაშორებული იყო თავის ადგილკომსა და საკავშირო მუშაობას. მაშინ ადგილკომს ის იმდენად აფასებდა, რამდენადაც ის მისთვის საჭირო იყო ზოგიერთ აუცილებელ შემთხვევებში, როგორიცაა დაზღვევის საკითხი, საკურორტო დახმარება, კვალიფიკაციის შეფასება და სხვა. პროფმუშაობის დანარჩენი მხარეები ჩვენი კავშირის მასისათვის დიდ უმრავლეს შემთხვევაში თითქმის უყურადღებოდ რჩებოდა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ეხებოდით გამონაკლისებს.

რაიონულ ადგილკომების შემდეგ ჩვენ პატარა და წვრილ ადგილკომებთან (თითეულ, ორ ან სამ დაწესებულებაში ცალკე) გვაქვს საქმე. ასეთ ადგილკომებზე გადავედით ორი წლის წინად, ასე რომ ეს ჩვენთვის უკვე ახალი არ არის და შეგვიძლია მის ნაყოფიერებაზე თუ მიზანშეუწონლობაზე ვილაპარაკოთ. უნდა ითქვას, რომ ადგილკომების ასეთ სტრუქტურას ჩვენი კავშირის მასის უმრავლესობა და ზოგჯერ აქტიური პროფმუშაკებიც ერთობ შიშითა და უმედობით უყურებდენ. ამის მთავარი მიზეზი მათი თვალსაზრისით ის იყო, რომ პატარა ადგილკომის მომუშავე, რომელიც თავის ძირითად სამუშაოდან განთავისუფლებული არ არის, ვერ შესძლებს ადგილკომის საქმეებს საკმაო დრო მოანდომოს, ვერ შეიძენს სათანადო გამოცდილებას და რაც მთავარია – საკონფლიქტო საქმეებში ვერ იქნება მიუდგომელი, ვინაიდან მას საქმე ექნება თავის პირდაპირ ადმინისტრატორთან და უსათუოდ ადგილი ექნება გადახრას ადმინისტრაციის

სასარგებლოდ, რადგან ადგილკომის მომუშავენი არ მოინდომებენ მასთან კონფლიქტი იქონიონ.

ასეთი აზრი ერთი შეხედვით თითქოს მართალია, მაგრამ არ უნდა დავიწყოთ, რომ საბჭოთა კანონმდებლობაში გარკვევით არის ნაჩვენები ადგილკომში არჩეულ პირთა უფლებები და მათი ინტერესების დაცვა, თუ კი კონფლიქტი მართლა ზემოდ მოყვანილ მოსაზრებებით იქნება გამოწვეული. ამას ნათლად გვიმტკიცებს ჩვენი ორი წლის გამოცდილებაც, რომლიდანაც სჩანს, რომ არც ერთი შემთხვევა არ გვქონია ადგილკომის მომუშავეთა დათხოვნისა ან შეცვიწროებისა იმ მიზეზით, რომ მათ თავიანთი წევრთა ინტერესები დაიცვეს. შესაძლებელია ამის ტენდენცია ზოგიერთ ადმინისტრატორებს კიდევაც ჰქონდათ, მაგრამ მათ წინააღმდეგ ყოველთვის იყო შესაფერი ზომები მიღებული და თუ ადგილკომის მომუშავენი სათანადო ცოდნითა და მომზადებით მოეკიდებიან საქმეს, მუდამ შესძლებენ კანონიერების დაცვას.

მიუხედავად ამისა უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი ადგილკომები რეორგანიზაციის პირველ ხანებში ერთობ მოისუსტებდნენ. სისუსტის მიზეზი, რასაკვირველია, არ უნდა ვეძებოთ ზემოდ მოყვანილ მდგომარეობაში. სისუსტის მიზეზი უმთავრესად ადგილკომების მომუშავეთა მოუმზადებლობა იყო. ჩვენ არ გვყავდა პროფმუშაობისათვის მომზადებული საკმაო კადრი და ადგილკომებში ავირჩიეთ ყველა, ვინც კი მუშაობის სურვილს განაცხადებდა. ამას არ შეეძლო თავისი დაღი არ და მჩნია მათ მუშაობაზე. ადგილკომში არჩეული ამხანაგები დიდ უმრავლეს შემთხვევაში სრულიად გაურკვეველი იყვნენ პროფსაკითხებში, თანაც საკმაო დრო არ ქონდათ შეესწავლათ ის და ამნაირად ადგილკომების მუშაობა დაქვეითდა. საჭირო იყო დიდი ხელმძღვანელობა კავშირის ც. გ. მხრივ, რომ მუშაობა გამოცოცხლებულიყო და წევრთა მინიმალური მოთხოვნილება მაინც დაეკმაყოფილებია. მაგრამ პირველ ხანებში ვერც ეს საქმე შეიქნა სათანადოდ დაყენებული—ც. გ. ამ მდგომარეობას მოუმზადებელი შეხვდა და ფაქტის წინაშე დაყენებული იძულებული შეიქნა განსაკუთრებული ინტენსიური მუშაობით მოეგვარებინა საქმე. აუცილებელი შეიქნა ინსტრუქტაჟის გაძლიერება, საინსტრუქციო კონფერენციების ხშირად მოწყობა, წერილობითი კავშირის გაძლიერება და სხვ.

ადგილკომების სისუსტის მიზეზი მარტო ამითაც არ ამოიწურება. ერთი მთავარი მიზეზთაგანია თვით საკავშირო მასის განწყობილება ადგილკომისა და მის არჩევნებისადმი. რადგან ადგილკომების სამუშაო მასშტაბი შემცირდა (რაოდენობით), შემცირდა მათი შემოსავალიც, ე. ი. გასამრჯელო ადგილკომის მომუშავეთათვის. ამას ზედ დაერთო ადგილკომების ავტორიტეტის სისუსტე და ამ ორ მიზეზის გამო ადგილკომში არჩევა და მუშაობა ხშირად სახეეწნი შეიქნა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ადგილკომში მუშაობაზე ამხანაგები ხშირად უარს აცხადებდნენ და ამომრჩევლები იძულებულნი იყვნენ აერჩიათ მხოლოდ

ის, ვინც ამაზე თანხმობას განაცხადებდა. იყო შემთხვევები, როდესაც ადგილკომის მომუშავე აცხადებდა—მე საკმაოდ ვიმუშავე, ახლა სხვამაც გაიცნოს ეს „პატივისცემაო“ და ამნაირად ადგილკომში მუშაობა მორიგეობით ხასიათს ღებულობდა. ზოგიერთი კოლექტივები კიდევ სხვა მოსაზრებიდან გამოდიოდა: ადგილკომში ისეთ ამხანაგს ირჩევდნენ, რომელსაც ცოტა გაკვეთილები ან მცირე ჯამაგირი ჰქონდა და ეს არა იმისათვის, რომ ადგილკომის მუშაობისათვის მას მეტი დრო ექნებოდა, არამედ იმისათვის, რომ ამხანაგის ჯამაგირი გაედიდებიათ, თუნდაც იმ მცირე შემოსავლითაც, რომელიც ადგილკომს ექნებოდა, რასაკვირველია ასეთი არჩევნები ვერ მოგვცემდა ვერც საქმით დაინტერესებულ მუშაკებს და ვერც ამომრჩეველთა ნდობით იქნებოდნენ აღჭურვილი. აქედან ცხადია ადგილკომის მუშაობაც სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგომებოდა.

(დასასრული იქნება)

სამაზრო კონფერენციისათვის

Ახლო ხანში სამაზრო კონფერენციებზე უნდა მოხდეს სამაზრო ადკომების გადარჩევა. კონფერენციაზე და სამაზრო ჯანყოფილების გამგეობის გადარჩევაზე წარმოდგენილ საანგარიშო მოხსენებებს აქვთ განსაზღვრული მიღწევები, მაგრამ ამასთან უნდა დავადასტუროთ, რომ ამ სფეროში გვაქვს სუსტი მხარეებიც. კონფერენციის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია მრავალ პირობებისაგან და განსაკუთრებით შემდეგისაგან: ანგარიშის ხარისხიდან, დროულ და ფართე ინფორმაციისაგან კონფერენციის დღის წესრიგის შესახებ, დელეგატების აქტივობისაგან და გამოცდილებისაგან მასების ყურადღების მოპყრობის საქმეში კონფერენციის მიერ წამოყენებულ საკითხებისადმი და სხვ. საანგარიშო მოხსენების შინაარსი არ უნდა განისაზღვრებოდეს ციფრებით კავშირის წევრთა რაოდენობის შესახებ და სხდომების და მასზე განხილულ საკითხების რაოდენობით. ერთის სიტყვით, მოხსენება არ უნდა განისაზღვრებოდეს ფორმალურ ინფორმაციით, ჩატარებულ მუშაობის შესახებ. დაწვრილებით კრებისათვის საინტერესო ძირითად საკითხების გაშუქება იმის აღნიშვნით, თუ რა განხორციელდა ან არ განხორციელდა და რა მიზეზის გამო, წინა კონფერენციის დადგენილებიდან, უკეთეს შედეგს მოგვცემდა მასების აქტივობის გამოაშკარავების საქმეში.

კონფერენციაზე აუცილებლივ უნდა გამოაშკარავდეს ის, თუ რამდენად იყო ჩაბმული სკავშირო ორგანოები, განათლების განყოფილების საგეგმო მუშაობაში. გამოაშკარავდეს უნდა, თუ რაში გამოიხატა ეკონომ-მუშაობის სწორი აღრიცხვა და სისტემატიური კონტროლი იმაზე. თუ როგორ ანხორციელებს განათლების განყოფილება განათლების საქმეზე მოწვეულ თათბირთა, კონფერე-

ნციების და ყრილობების დადგენილებებს. ეკონომ-მუშაობის ძირითადი მომენტები ცნობილია, მაგრამ მათი ცხოვრებაში გატარების სიზუსტისათვის საჭიროა განათლების მუშაკთა ფართე მასების ჩაბმა სახალხო განათლების რაციონალიზაციის საქმეში, და ამნაირად უნდა გამოვიყენოთ მათი გამოცდილება და ცოდნა ამ სფეროში.

მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ ჩვენ, დავეხმაროთ სახელმწიფოს, როგორც საკავშირო ორგანიზაციამ, დაუკავშიროს სახალხო განათლების ამოცანები ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობის პრობლემას.

მოხსენება უნდა იყოს მოკლე, და ნათელი და დიდ დროს არ ართმევდეს კრებას, რომ ამ გზით საშუალება მიეცეს, რაც შეიძლება მეტ წევრებს, მიიღონ მონაწილეობა კამათში.

კონფერენციაზე აზრის გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა და მისი საქმიანი ხასიათი ღამოკიდებულია მომხსენებლის მხრივ მეტ თავდაჭერაზე, როგორც მოხსენებაში, ისე საბოლოო სიტყვაში, რადგან მას უნდა ახსოვდეს, რომ ყოველ საქმის წარმატებისათვის მთავარი პირობაა ჯანსაღი კრიტიკა.

მომავალ კონფერენციების ძირითადი ამოცანებია-წარსულ ნაკლის გამოსწორება, აქტივის მორიგ მუშაკთა ჩაბმა საკავშირო მუშაობაში.

აღნიშნულ ამოცანათა შესრულებისაგან არის დამოკიდებული ჩვენი აწინდელი მუშაობის წარმატებით განვითარება.

როგორ მუშაობდა 1926—27 სასწავლო წელში გან. მუშ. კავშირის ლიხაურის ადგილკომი

ლიხაურის (ოზურგეთის მაზრა) გან. მუშ. კავშ. ადგილკომი, ხსენებულ პერიოდში აერთიანებდა 6 დაწესებულებას და 25 წევრს. ადგილკომთან არსებობდა სხვადასხვა კომისია: კულტურული, შრ. დაცვის და საკონფლიქტო.

მთელი ადგილკომი დაყოფილი იყო სამ სექციად (იგივე წრე): პოლიტიკურ-პროფესიონალური, პედაგოგიური და ლიტერატურული. თვითეული სექცია კოლექტიურად ამუშავებდა მოხსენებას და ასე დამუშავებული სახით იკითხებოდა გაერთიანებულ სამეცადინო კრებაზე. სექციათა რიცხვის მიხედვით გამორჩეული იყო კვირაში სამი დღე: ორშაბათობით—პოლიტ.-პროფესიონალური, ოთხშაბათობით—პედაგოგიური და პარასკეობით—ლიტერატურული. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კავშირის წევრთა უმრავლესობის სურვილით პირველ ხანებში მეტი ყურადღება ჰქონდა მიქცეული პედაგოგიური საკითხების დამუშავებას. ისწავლებოდა სხვადასხვა მეთოდები პედაგოგიკაში: კომპლექსიური სისტემა, დალტონგეგმა და სხ., რომელნიც საჭირბოროტო საკითხებად გახდომია თანამედროვე სკოლების მასწავლებლობას. პროფესიონალურ-პოლიტიკური საკითხების და-

მუშავების დროს ვხელმძღვანელობდით ოზურგეთის განათლების მუშაკთა კავშირის სამაზრო გამგეობის-მიერ გადმოგზავნილ სამაცადინო გეგმების თანახმად. გარდა ამისა, იკითხებოდა მოხსენებები შეთანხმებით და დაკავშირებით საზოგადოებათმეცნიერებასა და ქართული ენასან, რომელთაც ორგანიული კავშირი აქვთ. მოხსენებები ამ დარგში დამაკმაყოფილებელი იყო როგორც ლიტერატურულ-მხატვრული, ისე სოციოლოგიური თვალსაზრისით. მაგ. წაკითხულ იქნა ასეთი მოხსენებები: 1. მე-XIX-ე საუკ. საქართ. I-ლი ნახევრის სოციალ-პოლიტიკური სახე და პარალელურად ნ. ბარათაშვილის შემოქმედება, 2. XIX-ე საუკ. კაპიტალიზმის ზრდასთან დაკავშირებით ქართველი გლეხის მდგომარეობა და ეგ. ნინოშვილის ლიტერატურული მნიშვნელობა; 3. ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ და ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების სოციალური ხასიათი, 4. ნაროდნიკული მოძრაობა რუსეთში და 1832 წლის ქართველთა შეთქმულება და სხვა...

ამასთან ყველა პროლეტარულ დღესასწაულების დროს ადგილკომი წევრთა დახმარებით მართავდა წარმოდგენებს, აწყობდა პოპულიარულ მოხსენებებსა და საუბრებს. მაგ. 1905 წლის რევოლუციის შესახებ, ოქტომბრის რევოლუციის ცხრა წლის თავზე, 9 იანვარი, ლენინის გარდაცვალების 3 წლის თავზე, საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავზე და სხ.

ამისთანა და საზოგადოთ ყველა მოხსენებებზე (გარდა წმინდა პედაგ. ხასიათის სექციური მუშაობისა) გვესწრებოდა თემის მცხოვრებთა დაინტერესებული ნაწილი, რომელიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა აზრთა გაცვლა-გამოცვლაში.

ადგილკომი სცემდა დიდ სათემო კედლის გაზეთს „სიმართლე“-ს სახელწოდებით, რომელსაც არსებობის 3 წელი შეუსრულდა. გამოიცა სულ 24 №-რი. გაზეთი სავსებით ამართლებდა დანიშნულებას, როგორც შერჩეული შინაარსით, ისე მიმზიდველი ფორმითაც. ადგილკომი ხშირად იწვევდა კედ-გაზეთის კორ-თა კრებებს, გამოყოფილი იყო რამდენიმე წევრი, რომლებიც აჩვევდა და ასწავლიდა გლეხ კედ-კორებს კორესპონდენციის წერას.

ეს გაზეთი შემდეგში გადაეცა თემში არსებულ სამკითხველოს საბჭოს, რომელშიაც უმრავლესობა ისევ ჩვენი კავშირის წევრებია. გარდა ამისა ადგილკომთან არსებობს სამკითხველო, რომელშიაც ირიცხება სხვადასხვა წიგნები 400 ცალი. ამ ლიტერატურით ბარაქიანად სარგებლობს კავშირის ყველა წევრი თავის გონებრივ დონის ამაღლებასა და სხვადასხვა საკითხების დამუშავებაში.

ამასთან კავშირის წევრები იწერდენ შემდეგ ქართულ-რუსულ პერიოდიულ გამოცემათ: „კომუნისტი“—10 ც. „მუშა“—7 ც. „ახალი სოფელი“—13 ც. „ახალგ. კომუნისტი“—3 ც. „Заря Востока“—2 ც. მოსკოვიდან შემდეგ ჟურნალებს: „Красная Нива“—4 ც. „Безбожник“—2 ც. „Новый Леф“—3 ც., და იძენდენ თითქმის ყველა ჟურნალებს, რომლებიც-კი პროვინციამდე აღწევენ.

თვით ადგილკომი კავშირის სამკითხველოსათვის იწერს თითო ცალ ჟურ. „ახალი სკოლისაკენ“, „Народный Учитель“, „Учительская Газета“ და სხ.

თემში არსებობდა (და არსებობს ახლაც) პიონერთა ორი კოლექტივი, რომელთანაც მიმაკრებულია ჩ. კავშირიდან ორი პარტიული ამხანაგი, ადგილკომი მოვალეობის შესაფერისად ხელმძღვანელობას უწევდა პიონერებს.

ქალთა შორის მუშაობის გაღრმავების მიზნით კავშირმა გამოყო 3 წევრი, რომელიც ენერგიულად მუშაობდა. ახალგაზ. შორის მუშაობაში ადგილკომი და კავშირი ადგილობრივ კომკავშირთან შეთანხმებით აწარმოებდა მუშაობას. თუ როგორი ნდობა და სახელი აქვს მოხვეჭილი ჩვენ კავშირს თემის მოსახლეობაში ამას ამტკიცებს ისა, რომ გან. მუშაკთაგან სათემო საბჭოში არჩეულ იყო 9 კაცი, ხოლო თემის საბჭოს ხელმეორედ გადარჩევის შემდეგ საბჭოში არჩეულ იქნა 5 გან. მუშაკი და საბჭოს სარევიზიო კომისიაში-კი 2 კაცი. ადგილკომის კრებები იმართებოდა თვეში 3 ჯერ, კავშირის-კი ერთჯერ, საჭიროების მიხედვით მეტჯერაც.

ასეთია ჩვენი მუშაობა ხსენებულ ხნის განმავლობაში. 1927/28 სამოსწ. წლის განმავლობაში ჩვენ კავშირში ძოხდა ზოგიერთი ცვლილება, რაც გამოწვეულია თემის ცენტრში არსებულ 7 წლედის სოფ. ახალგ. სკოლად გადაკეთებით. ამას მოყვა ადგილკომის წევრთა შემცირება დავიდა 16 წევრზე. ნაწილი კავშირის წევრებისა (6 მასწ.) დარჩა უმუშევრად; ნაწილი მოწყობილ იქნა სხვა ადგილას. ამ გარემოებამ საგრძნობად შეაფერხა ადგილკომის საქმიანობა.

ამას შემდეგ ჩვენი მუშაობა გამოიხატა შემდეგში: ვაწარმოეთ ხელის მოწერა ჟურ. „განათლების მუშაკ“-ზე, გამოვიწერეთ 11 ცალი. თემში მყოფ სხვადასხვა კავშირის წევრებთან გაერთიანებით 25 კაცმა შევისყიდეთ 100 მანეთის ობლიგაცია (ინდუსტრიალიზაციის სესხი) და ორი საგლეხო მოძგებიანი სესხი. აგრეთვე მთელი ადგილკომი, თემში არჩეულ დღესასწაულის მომწყობ კომისიასთან ერთად მხურვალე მონაწილეობას ვღებულობდით ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის იუბილეს მოწყობაში. ახლა მიმდინარეობს ადგილკომების გადარჩევები. ახალი ადგილკომის არჩევასთან ერთად ბევრი დაბრკოლება გამოწვეული წევრთა შემცირება-გადაჯგუფებით—თანდათან დაიწმინდება და მუშაობაც უფრო ცხარე ტემპით წარიმართება.


ლიხ. გან. მუშ. კავშირის ადგილკომის თ—რე **ვანო სალუქვაძე**

ᲐᲛᲑᲐᲙᲝ ᲑᲐᲠᲐᲚᲐᲫᲔ

ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

სახელის მითვისება ძნელი როდია,
უმთავრესი ის არის, როგორ ასრულებ მას.
ლ ე ნ ი ნ ი

(სახალხო მასწავლებლის ი. წერეთლის 33 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად).



სახალხო მასწავლებელი სოფლის მოსახლეობისათვის კულტურული ჩირაღდანია.

ჩაბმული სწავლა-აღზრდის საქმეში-ამ სერიოზულ ბრძოლაში, სახალხო მასწავლებელი არ უშინდება არავითარ დაბრკოლებას და თავისი ნაყოფიერი მუშაობით, მაზრაში ცოდნის შეტანით, აღწევს ფრიად მნიშვნელოვან შედეგებს.

ბევრია ისეთი მასწავლებელი, რომელსაც 10 და 15 სკოლაში უმსახურნია და თუ წარმოვიდგენთ მასწავლებლის სამსახურს იმ დროს, როდესაც ხალხის სიბნელეში ყოფნას თვით მეფის მთავრობა ხელს უწყობდა, როდესაც ხალხის ერთ ნაწილს შვილებიც არ შეჰყავდა სკოლაში—ჯარის კაცად წაიყვანენო და სხვა,—ადვილად შეგვეძლება ვსთქვათ, რომ იმ დროის მასწავლებელს გული მაგარი უნდა ჰქონებოდა და მოთმინება კიდევ ზედმეტი. ჩვენში, შორაპნის მაზრაში ასეთი მასწავლებლებიც არიან. ზოგი მათგანის დაწერილი და გადასროლილი სიტყვები სახალხო მასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და სხვა გულს უსერავდა და უწამლავდა სკოლების დირექციას და ყალყზე აყენებდა მეფის მთავრობას. ასეთია 50 წლის დამსახურებული მასწავლებელი იასონ ლუკასძე კაპანაძე, რომელსაც შესაფერი წერილები უძღვნეს ჟურნალებში; ზოგნიც კიდევ ხალხს ჩასჩიჩინებდენ, რომ დაეარსებინათ სკოლები, აეგოთ მისთვის შესაფერი შენობები და სხვადასხვა... ასეთია სხვათა შორის 33 წლის დამსახურებული მასწავლებელი **ილია ბეჟანისძე წერეთელი**, იგივე მოძღვრიშვილი. ამ უკანასკნელ გვარს მას უწოდებენ უფრო ჰიათურის რაიონში. ილია წერეთელი დაიბადა 1864 წ. სოფელ ცხრუკვეთში, შორაპნის მაზრაში. სწავლა-განათლება მიიღო ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში, და გაგზავნილ იქნა ტფილისის

სამასწავლებლო ინსტიტუტში, მაგრამ ავადმყოფობის გამო ინსტიტუტის კურსი არ დაუმთავრებია. ჩააბარა გამოცდები მასწავლებლობის წოდებაზე და შეუდგა მასწავლებლობას.

1893 წლიდან ის განაგრძობს სამსახურს ამ დარგში.

განსაკუთრებული მუშაობა და ღვაწლი ილია მოძღვრიშვილის ახალგაზრდობის აღზრდასთან ერთად გამოიხატებოდა სასკოლო შენობების აგებაში და შეკეთებაში.

სადაც კი მოუხდა მას მასწავლებლობა, თითქმის ყველგან საჭირო შეიქნა სკოლისათვის ახალი შენობის აგება, ან ძველის შეკეთება. ჩხიროულის სკოლის შენობა, სადაც ამჟამად შვიდწლედია მოთავსებული და რომელიც სოფლის სკოლებთან შედარებით საუკეთესო შენობათ ითვლება, არის აგებული ილია მოძღვრიშვილის თაოსნობით. მისივე ხელმძღვანელობის ქვეშ იქნა შეკეთებული დიდი ჯიხაიშის სასწავლებლის შენობა.

ბევრი წვალებისა და ხვეწნის შემდეგ მიიღო ნივთიერი დახმარება შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან განსვენებულ გიორგი ზდანოვიჩის დახმარებით ჭიათურის სამრევლო სკოლის შენობის დასამთავრებლად, რომელიც უსახსროობის გამო მიტოვებული იყო. ილიამ შესძლო ამ შენობის მშვენივრად დამთავრება.

თვალუეთში, სადაც მოსწავლეებს ნაჭირავებ სახლში ასწავლიდენ, თავისი მეცადინეობით ხალხს აყიდვია საკუთარი შენობა, სადაც მოთავსებულია ამჟამად 4 წლიანი შრომის სკოლა. მასვე შეხვდა მონაწილეობის მიღება თავის სოფელში-ცხრუკვეთში სკოლის შენობის აგებაშიაც.

აი მოკლედ ილია მოძღვრიშვილის მოღვაწეობა სამასწავლებლო ასპარეზზე.

მიუხედავათ იმისა, რომ მასწავლებელი ილია კარგად იცნობდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენლებს, ბევრი მათგანი ნათესავებიც იყვნენ მისი, რომლებსაც, ვინ იცის, რამდენჯერ არ შეუთავაზებიათ მრეწველთა საბჭოში თბილი ადგილი ჩვენი ილიასათვის, ის მაინც არ ეხსნებოდა სკოლას. თბილ ადგილს ილიამ ამჯობინა სკოლა, მასწავლებლობა, სოფლის გლეხობასთან ყოფნა, ბრძოლა სასკოლო-სააღმშენებლო დარგში და მცირე ჯამაგირით დაკმაყოფილება.

„ბევრი, ძალიან ბევრი გაჭირვება გადამხდენია წარსულში, ჩემო ბიძიკო, მეტადრე იმ წუთებში, როდესაც ამა თუ იმ სკოლის შენობის აშენების, ყიდვის ან შეკეთების საკითხი სწყდებოდა, მაგრამ ისე ვიყავი გაკაჟებული, როგორც ეს ნამდვილ სახალხო მასწავლებელს შეეფერებოდაო“ იტყვის ხოლმე ხშირად ჩვენი დამსახურებული პედაგოგი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთ დამსახურებულ პედაგოგს შორ. მაზრის განათლების მუშაკნი და საზოგადოება არ დასტოვებენ აღუნიშნავად.

ა. კალაძე

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგია და მისი სწავლების მეთოდი

(საკითხის დასმის წესით)

(დასასრული)

როგორი პედაგოგიური მეთოდით უნდა მიუდგეთ პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას ჩვენს სკოლებში, აი საკითხი რომელიც ჯერჯერობით ყველასათვის გარკვეული არ არის. ზოგადი პასუხი აქ შეიძლება ისეთი იყოს: პოლიტიკური ეკონომიის სწავლების მეთოდი ისეთი უნდა იყოს, რომელიც დასაშვებია მარქსისტული პოლიტ. ეკონომ. მეთოდოლოგიისათვის. სწავლების მეთოდის ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ პოლიტიკური ეკონომიის გადაცემის დროს ამ უკანასკნელის მეთოდოლოგია არ დაზიანდეს, და რაც შეიძლება საგანი ნაყოფიერად იქნეს შეთვისებული.

პირველი თავსამტვრევი საკითხი პოლიტიკურ ეკონომიის შესწავლის დროს არის კონკრეტობის აბსტრაქციასთან დაკავშირების საკითხი. როგორც ვიცით მარქსი მოითხოვს აბსტრაქციით კონკრეტობამდე ავიდეთ. ეს მეთოდოლოგიური მოთხოვნა სრულიად არ ეწინააღმდეგება იმ შესაძლებლობას, რომ წძინდა პედაგოგიური მიზნისათვის გამოყენებული იქნას ემპირიული მასალა, რომელიც მოწაფისათვის ნაცნობია, რათა ამით გავაძლიეროთ თეორიული დებულებათა გაგება. კონკრეტიული მასალას იყენებენ ხშირად როგორც ილიუსტრაციას, ხოლო ზოგჯერ კი იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ იმ ახალი კითხვების დასმას, რომლებიც ორგანიულად დაკავშირებული არიან შესასწავლ საკითხთან. კონკრეტი მასალის ფართედ გამოყენების მაგალითს იძლევა მარქსი „კაპიტალში“, ზედმეტი ღირებულების წარმოშობისა და მისი ზრდის საშუალებათა ახსნის დროს. აქ იგი ფართოდ სარგებლობს მდიდარი ფაქტიური მასალით. ასევე იქცევა ლენინი თავის თხზულებაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, სადაც მარქსის ბაზრის თეორიის ანალიზს ახდენს კონკრეტ მასალის შესწავლის ნიადაგზე.

კონკრეტ მასალის ამგვარად გამოყენებას პოლიტ. ეკონომიის უკეთ სწავლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ნათლად სჩანს თუ რატომ ვახდენთ აბსტრაქციას და რატომ ვქმნით თეორიას. მეორეს მხრივ კონკრეტობა აძლევს ნათელ სახეს აბსტრაქციით მიღებულ დებულებას, რადგან ცოცხალი ფაქტები უკეთ მეტყველებენ, ვიდრე სიტყვები, თეორიის დასამტკიცებლად. დასასრული

კონკრეტი მასალის გამოყენება ხელს უწყობს პრობლემის გაგების გაღრმავებას მთლიანად.

ჩვენს პირობებში კონკრეტი მასალის გამოყენება გაძნელებულია იმით, რომ ჩვენ არ ვიმყოფებით წმინდა კაპიტალისტურ მეურნეობის პირობებში. თუ ჩვეულებრივად პოლიტ. ეკონომიის ობიექტს კაპიტალისტური მეურნეობა შეადგენს, ჩვენ სულ სხვა სამეურნეო ფორმაციაში ვიმყოფებით.

მიუხედავად ამისა საბჭოთა მეურნეობის მაგალითების გამოყენება პოლიტ. ეკონ. შესწავლის დროს შესაძლებელია, მაგრამ ეს არ შეიძლება ყოველთვის და ყოველგან. უფრო მიზანშეწონილია მისი გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოწაფე გაეცნობა კაპიტალისტური წარმოების ძირითად თვისებებს. ამის შემდეგ უკვე ადვილად შეიძლება სადემარკაციო ხაზის გავლება ჩვენსა და კაპიტალისტურ მეურნეობის შორის.

თავისთავად საბჭოთა ეკონომიკის შესწავლა დაკავშირებულია თვით საბჭოთა ეკონომიკის სწორად გაგებასთან. თუ არა გვაქვს სწორად გაგებული, თუ რა ხასიათისაა საბჭოთა ეკონომიკა, არის თუ არა იგი როგორც ფორმით, ისე თავის შინაარსით, საქონლის საცვლელი მეურნეობა, ან რაგვარი რეგულიატორები მართავენ მას,—თუ ეს წინასწარ არ არის გამორკვეული, მაშინ შესაძლებელია უსისტემოდ იქნას აღებული კონკრეტი მასალა ჩვენი სინამდვილიდან, რაც დაამახინჯებს პოლიტ. ეკონომიის სწავლებას და შებრუნებული წარმოდგენა შეუმუშავდება ჩვენს ახალგაზრდობას საბჭოთა ეკონომიკაზე.

როგორც ვიცით, ამხრივ დიდი გაუგებრობაა ამხ. მოტილიოვის პოლ. ეკონ. კურსში. მან, პოლიტ. ეკონომიას ჩვენს პირობებში მიზნად დაუსახა აგრეთვე ახალი ამოცანა—საბჭოთა ეკონომიკის თეორიული შეცნობა. მოტილიოვმა, პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის გასაადვილებლად მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ამ მეცნიერებას ისეთი ამოცანები დაუსახა, რომელსაც იგი არასოდეს არ ემსახურებოდა და რომლებიც პოლიტიკური ეკონომიისათვის უცხოა, ამით მან, ნაცვლად პოპულიარიზაციისა, პოლიტ. ეკონომიის ვულგარიზაცია მიიღო.

ამრიგად, კონკრეტი მასალით სარგებლობა არა მარტო იმისათვის, რომ პოლიტიკური ეკონომიის კურსის საილიუსტრაციოთ იქნას გამოყენებული ის, არამედ იმისთვის უფრო, რომ ურყევი შეიქნეს ესა თუ ის თეორიული დებულება სწორად სწავლების მეთოდიკის აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომელსაც მიმართავდენ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მარქსი და ლენინი.

კონკრეტი მასალის გამოყენების შემდეგ დასკვნის გამოყვანა ადვილიცაა და იგი უფრო მტკიცედ ამახსოვრდება მსმენელს. როგორც მარქსი სწერს თავის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალში“: კონკრეტი „სინამდვილეში გამოსავალი წერტილია. იგი აგრეთვე გამოსავალი წერტილია სწორი და ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად“. ამიტომ პოლიტიკურ ეკონომიის სწავლების დროს კონკრეტი მასალის გამოყენებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მით

უმეტეს მოსწავლე ახალგაზრდობა სწორედ ამ კონკრეტობის, მოვლენათა ამ გარეგან ფორმის გავლენის ქვეშ იმყოფება. ამიტომ სწორედ ამ კონკრეტობიდან უნდა დავიწყოთ, და თანდათანობით მივუყვანოთ ისინი მარტივ აბსტრაქტიულ განმარტებამდე.

მაგრამ, მასალა შერჩეული უნდა იქნას იმ გვარად, რომ ის ტიპიური იყოს. კონკრეტ მასალის შესწავლის ნიადაგზე უნდა დაისვას საკითხები რომლებიც შემდეგ თეორიულად უნდა გაირკვეს. ამავე დროს რაციონალურია, კონკრეტიზაციას ჰქონდეს ადგილი კურსის არა რომელიმე ნაწილში, არამედ მთელში. ეს კონკრეტიზაცია ისე უნდა ჩატარდეს, რომ მთელი კურსი გამომდინარეობდეს კონკრეტი მასალიდან.

მიუხედავად ამისა პოლიტ. ეკონომიის კურსი აგებული უნდა იქნას არა ინდუქციაზედ, არამედ აბსტრაქციასა და დედუქციაზედ, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია შევიმცნოთ კაპიტალიზმის მთელი სისტემა. ძირითად აბსტრაქციებამდე უნდა მივიდეთ ინდუქციის საშუალებით.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. პოლიტ. ეკონომიის სწავლების პრაქტიკაში თითქმის ყოველწლიურად ჩვენ სამოსწავლო წლის დასასრულს გავდივართ ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკა. გავდივართ აჩქარებულად, არა სათანადო ღრმა ანალიზის მოხდენით, ფაქტებისა და მასალების არა სათანადოთ გამოყენებით, და ამის გამო ეს ნაწილი საერთოდ არა საკმაო შეგნებით მუშავდება ჩვენს სკოლაში. თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკის მეტი ყურადღებით შესწავლა შეუძლებელია თუ იგი ყოველთვინ მოვაქციეთ კურსის ბოლოში. მის უკეთ შესწავლისათვის საჭიროა ამ ეკონომიკიდან მოვიყვანოთ მაგალითები, პოლიტ. ეკონომ. სხვადასხვა პრობლემათა განხილვის დროს. მაგ. შრომის ხელფასის შესწავლის დროს ეს საკითხი უნდა დაუკავშიროთ სამუშაო დღის საკითხს თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში; უნდა გავარკვიოთ ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც, რომ გაგვიადვილდეს თანამედროვე კაპიტალიზმის გაგება. საერთოდ კი პოლიტ. ეკონომიის სწავლება ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ მოსწავლე გრძნობდეს, რომ ჩვენ ვიმყოფებით არა კლასიკურ კაპიტალიზმის პირობებში, არამედ მონოპოლიურ კაპიტალიზმის ბატონობის ხანაში, რომლის დროსაც ხდება კაპიტალისტურ წარმოების კანონთა ერთგვარი მოდიფიკაცია.

ჩვენს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის შეჭრის პირობების სწორად გაგებას, რადგან იგი გაუადვილებს წარმოდგენას ჩვენს ახალგაზრდობას, მუშათა და გლეხთა კავშირის დამყარების აუცილებლობაზე. ამავე გზით ადვილად გაირკვევა ჩვენი ახალგაზრდობა სოფლად დაწყებულ კლასობრივ დიფერენციაციაშიაც.

მაგრამ ჩამოთვლილი მომენტებით არ ამოიწურება პოლიტიკური ეკონომიის სწორად შესწავლის საკითხი. აქ საჭიროა მოკლეთ შევჩერდეთ მეთოდის

საკითხზედაც. ყოველ მეცნიერებაში მეთოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი აუცილებელი წინამძღვარია მეცნიერული მუშაობის განსავითარებლად, რადგან თუ რომელიმე მეცნიერებას არ გააჩნია მეთოდი, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ მოეპოება გზის მაჩვენებელი დასახულ ჰეშმარიტებათა აღმოსაჩენად. მაგრამ მეთოდს თავისთავად, მეცნიერულ მუშაობაში დამხმარე მნიშვნელობა აქვს. მეთოდს მეცნიერულ მუშაობაში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სამეურნეო საქმიანობაში ტეხნიკას. რამდენადაც ტეხნიკა მაღალია--მით უფრო ნაყოფიერია სამეურნეო საქმიანობა, მით უფრო ნაყოფიერია ადამიანის შრომა, მით უფრო მნიშვნელოვანია ადამიანის გამარჯვება ბუნებაზე, და პირუკუ-დაბალი ტეხნიკა, ხაკლები ნაყოფიერების მქონეა.

მეთოდი ყოველ მეცნიერებაში არის აზროვნების ეკონომია, შემეცნების, კვლევაძიების და მეცნიერულ სისტემათა ჩამოყალიბების. მეორე მხრივ მეთოდ არის კვლევაძიების მიმართულების მაჩვენებელი და იგი ყოველ მეცნიერებაში ისევე აუცილებელია, როგორც კომპასი ზღვაზედ მოგზაურობის დროს. სწორ მეცნიერულ მეთოდს მკვლევარის ხელში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მარჯვე და საიმედო იარაღს მეომრის ხელში.

ყოველ სამუშაოში ჩვენ ორ მომენტს ვარჩევთ,—ერთი შრომის შინაარსი მეორე შრომის ორგანიზაცია (მექანიზმი). ძლიერ ხშირად ჩვენი პედაგოგები, თუ გინდ პოლიტიკურ ეკონომიის დარგში, პირველ მომენტს მეტ ყურადღებას აქცევენ ვიდრე მეორეს. უფრო მეტად ზრუნავენ მოსწავლეს მისცენ ცოდნის მეტი რაოდენობა და უფრო ნაკლებად ზრუნავენ თვით ამ ცოდნის გადასაცემი მექანიზმის გაუმჯობესებაზე. ასეთ პირობებში მოსწავლე, მართალია, იღებს ცოდნის გარკვეულ მარაგს, მაგრამ ვერ იძენს მუშაობისათვის საჭირო გამოცდილებას. ამის გამო ასეთი სწავლებას მეტად მცირედი მნიშვნელობა აქვს, რადგან ერთერთი შეძენილი ცოდნა მოსწავლეს მალე ავიწყდება და მუშაობისათვის საჭირო მეთოდის უცოდინარობა კი არა თუ საშუალებას ართმევს მას მიღებულ ცოდნის ნიადაგზე გააღრმაოს საკითხები, არამედ არ ძალუძს ძველად შეთვისებულის აღდგენაც კი.

ამიტომ გაცილებით უმჯობესია ჩვენს სკოლებში მეტი ყურადღება ექცეოდეს მუშაობისათვის ამ საჭირო ხერხთა შესწავლას ვიდრე ცოდნის რაოდენობას. თუ მოსწავლემ სკოლაში შესძლო მუშაობისათვის საჭირო ხერხების შეძენა მაშინ იგი სკოლის გარეშეც ადვილად განაგრძობს ამ მუშაობას დამოუკიდებლად. ამის გამო ჩვენს პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს მუშაობის მექანიზმის საკითხის გაჯანსაღებას.

მეთოდი, როგორც აღვნიშნეთ, შრომის მექანიზმია. ამიტომ ჩვენმა სკოლებმა ხელი უნდა შეუწყოს, რათა ყოველი მოსწავლე შეაჩვიოს ამ მექანიზმით თავისუფლად სარგებლობას. მასწავლებელი სკოლაში უნდა აწყობდეს სამუშაოს თუ გინდ პოლიტ. ეკონომიის დარგში ისე, რომ მისი ხელმძღვანელობით მთელ

სამუშაოს ასრულებდეს მოსწავლე. მაგრამ მეთოდი წინასწარ ისე დეტალურად შესწავლილი უნდა იქნას, რომ მისით სარგებლობის პროცესში რაიმე დაბრკოლება არ შეიქნეს. ამრიგად ჩვენმა სკოლამ უპირველეს ყოვლისა უნდა შეაჩვიოს მუშაობის მეთოდს, რათა სკოლის გარეშეც ახალგაზრდამ დაუბრკოლებლივ შესძლოს დამოუკიდებელი მუშაობის გაწევა. ამისაკენ არის მიმართული სწავლების ახალი მეთოდი—დალტონის გეგმა. სწავლების ახალი მეთოდის შინაარსი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უწყობს მოსწავლე მაქსიმალური ყურადღებით მოეპყრას მასალას. მოსწავლე ამ შემთხვევაში მთავარი მომქმედი პირია სკოლაში. მოსწავლე აქ იქცევა დამოუკიდებელ მომუშავეთ, რომელიც პირველ ხანებში, მუშაობს ხელოსნის—მასწავლებლის ხელმძღვანელობის ქვეშ და იკვლევს კონკრეტ მასალას. თეორიული დასკვნები, რომელსაც მუშაობის ასეთი წესით მიიღებენ, უფრო მტკიცედ დაამახსოვრდება მოსწავლეს, ვიდრე ამას მასწავლებელი შესძლებდა. ამიტომ ახალი ლაბორატორულ კვლევა-ძიებითი მეთოდის ფართედ გამოყენებას შეუძლია პოლიტ. ეკონ. სწავლებაც შესამჩნევად გააუმჯობესოს.

დასკვნა: რომ პოლიტ. ეკონომიის სწავლება ჩვენს სკოლებში სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული ერთის მხრივ საჭიროა ვიზრუნოთ შესაფერისი სახელმძღვანელოების შესახებ. ეს უკანასკნელი შედგენილი უნდა იყოს გარკვეული პროგრამის მიხედვით, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, რუსულიდან უნდა ითარგმნოს ყველაზედ უკეთესი სახელმძღვანელო. ამის ამორჩევა უნდა მიენდოს სპეციალურ კომისიას, რომელიც ყველა არსებულ სახელმძღვანელოებიდან შეარჩევს საჭიროებისათვის უფრო გამოსადეგს და სთარგმნის მას. რაც შეეხება მიხალევსკის სახელმძღვანელოს, ჯერ ერთი იგი წიგნის ბაზარზედ ქართულად თარგმნილი უკვე არ იშოვება, და მეორეს მხრივ, მისი შეუცვლელად დაბეჭდვა დანაშაულია, რადგან ავტორმა რუსულ ახალ გამოცემაში ბევრი ცვლილებები შეიტანა. თავისთავად კი მიხალევსკი ვერ ჩაითვლება საუკეთესო სახელმძღვანელოდ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოლიტიკ. ეკონომიის ჩვენს სკოლებში სწავლების გაჯანსაღების ინტერესებისათვის საჭიროა ცეკას აგიტპროპმა და განათლების კომისარიატმა მოიწვიონ პოლიტ. ეკონომიის მასწავლებელთა საგანგებო თათბირი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მივაღებინოთ უნივერსიტეტის პოლიტ. ეკონომიის ლექტორებსაც, რათა სწავლების სისტემაში ერთიანობა დავამყაროთ და გამრუდებული მეთოდი რამდენადაც შესაძლებელია გამოვასწოროთ.

ლაბორატორული მეცადინეობა ბუნებისმეტყველებაში.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად ტფილისის განათლების განყოფილებამ თავის სკოლებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომლითაც მოითხოვს, რომ ყველა სკოლა ბუნებისმეტყველებაში აწარმოებდეს კვლევა-ძიებით ლაბორატორულ მუშაობას.

მართალია, ჩვენი სკოლა უკვე მტკიცედ დგას განახლებისა და გადახალისების გზაზე, უკვე მაგრად მოიდგა მის კედლებში ფეხი ახალი, შრომის სკოლის პრინციპებთან შეთანხმებულმა მეთოდებმა, მაგრამ ეს ცირკულიარული განკარგულება მაინც დროული და შესაფერისია. ბუნებისმეტყველება ჩვენი სასკოლო მუშაობის ერთი მთავარი ღერძთაგანია და ამიტომაც სრულიად ბუნებრივად მას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. მასთან ამ დისციპლინის სწავლება ერთგვარ ობიექტიურ პირობებსაც მოითხოვს, რომელთა გადალახვა სკოლის ქონებრივ მდგომარეობიდგან არის დამოკიდებული. დაკვირვებების და ცდების მოსახდენად საჭიროა ხელსაწყოების შეძენა: მიკროსკოპების, რეაქტივების, აბაზანების, დანების, დგამის და სხვ. ეს უკანასკნელი გარემოება ძალიან ართულებს მდგომარეობას ამ საგნის სწავლების ფართედ დაყენების საქმეში და ჩვენი სკოლებიც ძირითად კეთილ სურვილების ფარგლებში რჩებიან: უფულობა აბრკოლებს კაბინეტების მოწყობას.

ბუნებისმეტყველების შესწავლის გზაზე ჩვენს სკოლებს უკვე გადადგმული აქვთ შესაფერი ნაბიჯები: სინამდვილესთან დაახლოვება, ბუნებაზე დაკვირვება, პრიმიტიული ხასიათის ცდები და სხვა უკვე ფართედ სწარმოებს ყველგან. ბევრ სკოლაში შესაფერი კაბინეტებიც არის და ამ საგნის სწავლებაც მშვენივრად არის დაყენებული: მოწაფეები უშუალოდ ახდენენ ცდებს და დაკვირვებებს, მშვენივრად ხმარობენ სხვადასხვა იარაღებს, ჰკვეთენ ცხოველებს და სხვ. მაგრამ ტფილისის განყოფილებას ჯერ კიდევ მოეპოვება ისეთი სკოლები, სადაც ბუნებისმეტყველების კაბინეტები ან არ არის, ან და ცუდად არის მოწყობილი უსახსრობის გამო.

უკვე დაგზავნილი ცირკულიარის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სკოლამ მიიღოს ყოველივე ზომა, რათა ბარემ საბოლოოდ მოგვარდეს ამ საგნის სწავლება. ჩვენი სკოლა ღარიბია, განსაკუთრებით ეს ითქმის შვიდ წლედებზე, რომელთაც სწავლის ფულის აკრეფით ძალიან მცირე თანხა შემოუდით. მართალია მათ დოტაციას აძლევს განათლების განყოფილება, მაგრამ საქმეს ესეც ვერ შველის. ამიტომ სკოლები იძულებულნი იქნებიან ფართოდ გამოიყენონ მშრომელთა დამხმარე წრეების მუშაობა და განათლების განყოფილებასაც ენერგიულად მოსთხოვონ გადიდებული დოტაციების დროზე გაცემა. გასულ წელს განათლების განყოფილებას ამ მხრივ ღეფექტი ჰქონდა: დროზე ვერ მისცა შვიდწლედებს დაპირებული თანხები, წელს იმედია ეს ნაკლი აშორებული იქნება თავიდან.

ის სკოლები, სადაც კაბინეტები ახლად უნდა მოეწყოს, იძულებულნი იქნებიან მუშაობა ნაწილობრივ შეასრულონ, თუ, რასაკვირველია, ხელის შემშლელი გარემოება ექნებათ. გარდა უფულობისა, ხელის შემშლელ გარემოებათ ცალკე ოთახების უქონლობაც უნდა ჩაითვალოს: ცნობილია ჩვენი სკოლების გაჭირვება უბინობის გამო. ასეთ შემთხვევებში თითონ საკლასო ოთახი უნდა გადაიქცეს პრიმიტიულ ლაბორატორიად, გაკვეთილის დროს უნდა შემოტანილ იქნას საჭირო ხელსაწყოები და ცდებიც თითონ კლასებში უნდა ხდებოდეს.

შემდეგი საკითხი ეს ხელსაწყოების რაოდენობა და მათი მოპოვების საკითხია. სრულებით საჭირო არ არის, რომ ყოველ ბავშს ვსთქვათ თითო აბაზანი და დანა ჰქონდეს, არ არის საჭირო მრავალი რეაქტივი და სხვ. ერთი იარაღით რამდენიმე ბავშს შეუძლია იმუშაოს.

იარაღების შოვნის საკითხიც მწვავეთ დგას, თვალსაჩინო საგანთა ინსტიტუტს ამ მხრივ მრავალი ნაკლი აქვს და განათლების განყოფილებას თუ უნდა რომ მის მიერ გამოცემული ცირკულიარი სათანადოდ შესრულდეს, ამ დაწესებულების გაჯანსაღებაზედაც სერიოზულად უნდა იფიქროს. ხშირად სკოლას ფული აქვს და საჭირო ხელსაწყო ვერსად უშოვნია.

ერთი.

გ. გაძრაძე.

ბიბლიოთეკების კოოპერატიზაცია

„საქართველოში 1000-მდე ბიბლიოთეკაა, მაგრამ სახელმწიფომ სულ არ იცის, როგორ მუშაობენ ეს ბიბლიოთეკები".
(თანამედროვე მატიანე)

Кооперирование библиотек—ეს გამონათქვამი ეკუთვნის სრულიად რუსეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკების მე-II კონფერენციას, რომელსაც ლენინგრადში ჰქონდა ადგილი ამ ათი თვის წინ. კონფერენციაზე მოწვეულ იქმნენ აგრეთვე სხვა ჩვენი რესპუბლიკების დიდი აკადემიური ბიბლიოთეკებიც გადამწყვეტი ხმით *); კონფერენცია ისტორიული იყო თავისთავად, ამ წარმომადგენლობის გარეშე. იქ დასმულმა საბიბლიოთეკო აღმშენებლობისათვის ძირეულმა საკითხებმა—სპეციალურ-ბიბლიოთეკურ განათლების რეგლამენტაციის შესახებ, კატალოგების რეფორმის შესახებ და სხვა საკითხებმა - საკავშირო ხასიათი მიიღეს; კონფერენციის ყველა დადგენილებებს თავისთავად საერთო საკავშირო ძალა და მნიშვნელობა მიეკუთვნა.

კოოპერატიზაცია ბიბლიოთეკებისა—ერთი ძირითადი საკითხთაგანი იყო. რუსეთის პირველხარისხოვანი მეცნიერები იღებდენ მონაწილეობას მის გაშუქებაში.

ევროპიულ მივლინებიდან ახლად ჩამოსული აკადემიკოსი С. Ф. Ольденбург-ი, რომელმაც დასავლურ მეცნიერებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მდგომარეობაზე ილაპარაკა, მოუთხრობდა კონფერენციის მრავალრიცხოვან აუდიტორიას, რომ ბიბლიოთეკების კოოპერატიზაცია გერმანიაში უკვე განხორციელებულიაო *).

როგორც ვიცით, გერმანულ ბიბლიოთეკურ პრესაში ასეთი საგანგებო ტერმინი არ არის ხმარებაში და არც არსებობს ამგვარი სადისკუსიო თემა. გერმანიაში ბიბლიოთეკების კოოპერატიზაცია თანდათან წარმოიშვა და განვითარდა უმთავრესად უკანასკნელი 25—30 წლის განმავლობაში და შეუმჩნევლად საყო-

---

*) საქართველოდან ბიბლიოთეკების წარმომადგენელად მივლინებულ იქმნა წინამდებარე წერილის ავტორი

*) ამ თემას С. Ф. Ольденбург-ი გაკვრით ეხება აგრეთვე თავის წერილში: Из впечатлений о научной жизни в Германии, Франции и Англии („Научн. Работник" 1927, № 2). მისი სიტყვა სრულად იქნება დაბეჭდილი მე-II კონფერენციის ანგარიშში.

ველდღეო მოვლენად გახდა. ქრონოლოგიურად ბიბლიოთეკების კოოპერატიზაცია უფრო ადრე დაიბადა და განვითარდა ჩრდილო-ამერიკის კონტინენტზე, რომელსაც ბიბლიოთეკის მოწყობა დაყენების საქმეში პირველობის სახელი აქვს გავარდნილი. ბიბლიოთეკების კოოპერატიზაცია აქ სავსებით დაკავშირებულია ცნობილ „ამერიკის საბიბლიოთეკო კავშირთან“ (American Library Association), ამ კავშირმა დაარსების წლიდანვე (1876) მოყოლებული, უდიდესი როლი შეასრულა ამერიკის საერთო კულტურულ განვითარებაში. მან იშვიათი სოლიდარობა და უმჯიდროესი თანამშრომლობა შეჰქმნა ბიბლიოთეკებს შორის. ორგანიზაციით, შინაგანი მუშაობით, ახალი პროფესიული იდეოლოგიით—eibrary publicity (ამაზე ქვემოთ, გვექნება საუბარი)—მან ყველა ამერიკის ბიბლიოთეკები ფაქტიურად ერთ მთლიან და ერთი იდეალით გატაცებულ ბიბლიოთეკად გადააქცია. ამავე დროს უმაღლეს საფეხურამდე განავითარა ბიბლიოთეკური ტეხნიკა და ბიბლიოთეკური მეთოდიკა და მსოფლიო სახელი გაუთქვა ამერიკულ ბიბლიოთეკას. შარშან, თავის არსებობის 50 წლის შესრულების გამო კავშირმა მოაწყო სრულიად-ამერიკული საბიბლიოთეკო კონგრესი და უცხოელ სტუმრების წინაშე, ნამდვილი „ამერიკული მასშტაბით“, ეწეოდა პროპაგანდას ბიბლიოთეკების საერთაშორისო კოოპერატიზაციისათვის *). წლეულს კი ედინბურგში მოწვეულ ინგლისელ ბიბლიოთეკართა ყრილობაზე, როგორც „The Library Journal“-ის ივლისის ნომერი იუწყება, კავშირი ამაოდ გამოდის რაღაცა მსოფლიო საბიბლიოთეკო ფედერაციის ან ალმასრულებელი კომიტეტის შექმნის წანადადებით...

ჩვენთვის ამერიკულ პერსპექტიებს, განყენებული ინტერესის გარეშე, რასაკვირველია, არავითარი ფასი და ღირებულება არა აქვს, რადგანაც ჩვენი მუდმივი ამოცანა არის—სრულებით ნათლად გამოვარკვიოთ ის, რაც უცხოეთის მიღწევებიდან მისაღებია ჩვენთვის და ჩვენს იდეოლოგიას და სოციალ-კულტურულ აღმშენებლობის მიზნებს ეგუება, რაც პრაქტიკულად გამოდგება და რის განხორციელებაც შესაძლებელია რუსი ამხანაგების მსგავსად ჩვენც მოვიხსენიებთ უცხოეთს იმდენად, რამდენადაც ეს წმინდა—პრაქტიკული დასკვნებისათვის არის საჭირო. როგორც ვნახავთ, რუსეთში ბიბლიოთეკების მმართველ და ხელმძღვანელ წრეების მიერ უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული კოოპერატიზაციის განსახორციელებლად. ამიტომ ჩვენ ზოგადი წარმოდგენა მაინც უნდა გვქონდეს ახალი დაწყების შესახებ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ შესატყვისი წყაროები გაბნეულია აუარებელ ჟურნალებსა და ანგარიშებში და არც ადვილი საშოვარია.

რას ნიშნავს ბიბლიოთეკების კოოპერატიზაცია?

რასაკვირველია, გაცილებით მეტს, ვიდრე ჩვენ „კოლექტიური მუშაობა“ ან „კოლექტიური თანამშრომლობა“ გვეუბნება. კოოპერატიზაცია უწინარეს

---

* ამ კონგრესის აღწერილობა აქვს Л. Б. Хавкина-ს: Юбилейный Съезд Америк. Библ. Ассоциаций („Библ. Обозр.“ 1927. Кн. I—II).

ყოვლისა ჰგულისხმობს ისეთ საქმიან დაკავშირებას, რომელსაც უსათუოდ რაიმე ხელ შესახები, „საწარმოო“ შედეგი უნდა მოსდევდეს თან: ერთად შედგენილი ბიბლიოგრაფია, კარგი შეერთებული კატალოგი, სპეციალური გამოფენა, კამპანიები ე. წ. აქტიურ საბიბლიოთეკო მუშაობის დარგში და სხვა. მართალია, ასეთ დაწყებების განსახორციელებლად დროებითი კავშირის გაბმა ბიბლიოთეკებს ახლაც შეუძლიათ, როდესაც თვითეული ბიბლიოთეკა თავისი საკუთარი პროგრამით მუშაობს, დამოუკიდებლად, დაუკავშირებლად სხვა ბიბლიოთეკის მუშაობასთან. კოოპერატიზაცია კი გაცილებით შორს მიდის. ბიბლიოთეკების კოოპერატიზაცია არის ბიბლიოთეკების მოქმედებათა კოოპერატიზაცია—кооперирование деятельности библиотек—მუდმივი მათი ორგანიზაციული გაერთიანება. გადავიდეთ კონკრეტულ ფაქტებზე.

ავიღოთ ჯერ, თუნდაც წიგნების გაცემა-სარგებლობა ბიბლიოთეკებში როგორ არის ეს საქმე დაყენებული, მაგალითად, შეერთებულ შტატებში ან გერმანიაში? იქ ასეთი წესი გამტკიცდა: თუ ბიბლიოთეკას არა აქვს მოთხოვნილი წიგნი, ის გამოითხოვს ამ წიგნს მეზობელ ბიბლიოთეკიდან, გამოიწერს სხვა ქალაქისა და სხვა შტატის ბიბლიოთეკიდან, რომელსაც მოეპოება ეს წიგნი—და მიაწვდის თავის აბონენტს.

ამ ქვეყნებში საგანგებო დებულებით წიგნების გაცემა სწარმოებს ბიბლიოთეკებს შორის, თვითეულ ქალაქში და ქალაქებ შორის. ერთი ბიბლიოთეკის აბონენტი ფაქტიურად ყველა ბიბლიოთეკების აბონენტია. ეს არის ე. წ. საბიბლიოთეკათაშორისო აბონენტი—междубиблиотечный абонемент,—რომლის რეგლამენტს მოსკოვის „ГУС“-თან არსებული საბიბლიოთეკო კომისია ამზადებს საკავშირო მასშტაბით. ამ აბონემენტის მნიშვნელობა ჩვენ უფრო ფართოდ გადაგვეშლება თვალწინ, თუ გავიხსენებთ, რომ, ჩვეულებრივად, ყოველ წიგნთსაცავში მხოლოდ ფონდის ნაწილია ინტენსიურ ხმარებაში! დანარჩენი ნაწილი თითქმის უძრავადა რჩება და ბევრია ისეთი წიგნიც, რომელსაც ათსა და ოც წელიწადში ერთხელ თუ მოიკითხავს მკითხველი. საბიბლიოთეკათაშორისო გაცემა შესაძლოდ ხდის ფონდების მაქსიმალურ გამოყენებას, ბიბლიოთეკების სრულ დემოკრატიზაციას. გამოანგარიშებულია, რომ გერმანიის ყველა ბიბლიოთეკებში შესულ მოთხოვნების საერთო რიცხვზე უარყოფით პასუხთა რიცხვი 25 % უდრის და ეს არის საშუალო რიცხვი წიგნებისა, რომლებიც **ერთ** ბიბლიოთეკას გაუცია ქალაქის საზღვრების გარეთ. ბერლინის საჯარო ბიბლიოთეკის ეხლანდელ დირექტორს H. A. Kruss-ს მოჰყავს ეს ცნობა და ამბობს: ჩვენში წიგნების გაცემა შესაძლებლობის საზღვრამდეა მისულიო *), საერთაშორისო, გაცემაშიაც გერმანიას პირველი ადგილი უკავია: 1913/14 საანგარიშო წელს

*) Z. f. B. 1927 Mai, ss. 248—Die internat. Zusammenarbeit d. Bibe.

გაცემული იყო საზღვარგარეთ 226.000 ტომი 1925/26 წელს—239.000 ტომი*).

ეს რიცხვები ზნეობრივად გვავალებს კარგად გაეცნოთ იმაშიაც, თუ რა უწყობს ხელს საბიბლიოთეკათაშორისო გაცვლას? გერმანიაშიაც და შეერთებულ შტატებშიაც—მჭიდრო თანამშრომლობა და მუდმივი ურთიერთობაა ბიბლიოთეკებს შორის. იქ თუ ბიბლიოთეკას აქვს რაიმე საყურადღებო კოლექცია ან თვალსაჩინოდ გაეზარდა ერთი რომელიმე საკითხის ლიტერატურა—ის ატყობინებს მეორე ბიბლიოთეკას, აწვდის კატალოგს, სიას, ბიბლიოგრაფიულ ცნობებს. თვითონაც მოსდის ასეთი ცნობები სხვა ბიბლიოთეკებისაგან და იცის, სად რა ლიტერატურა მოიპოვება უმთავრეს ინფორმაციას იძლევიან, რასაკვირველია, ე. წ. შეერთებული კატალოგები*), რომლებიც მუდმივ ივსება და ყოველ ქალაქში არის, ე. ი. ყველგან, სადაც ადგილი აქვს ბიბლიოთეკების კოოპერატიზაციას.

თვალსაჩინო ადგილი უკავია გერმანიაში და შეერთებულ შტატებში აგრეთვე ფონდებისა და დუბლეტების გაცვლა-გამოცვლას ბიბლიოთეკებს შორის. დუბლეტები (გარეშე საგანგებოდ შეძენილისა) ქრონიკულად ჩნდება ყოველ ბიბლიოთეკაში და მათი გაცვლა ჩვეულებრივ ოპერაციას წარმოადგენს უცხოურ ბიბლიოთეკაში. ამას გარდა, გაცვლას წესიერი ხასიათი აქვს მიცემული: გამოყოფილია პატარა სადუბლეტო ფონდები, არის აღმრიცხველ-გამნაწილებელი აპარატი, ურთიერთი ინფორმაცია და სხვა. რუსეთში საგანგებო წიგნთსაცავია დაარსებული—Государственный Книжный Фонд (ლენინგრადში), რომელსაც სამეცნიერო ბიბლიოთეკების მე-II კონფერენციის შემდეგ განმანაწილებელი ფუნქციებიც უნდა დაეკისროს ამ ფონდს, სხვათაშორის, აღთქმული აქვს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის ათასი ტომი სამეცნიერო ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემა. ჩვენში დუბლეტების გაცვლას მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ჰქონია ადგილი და ამ საქმეს საზოგადოდ მოგვარება უნდა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ფონდების გაცვლა-გამოცვლა ბიბლიოთეკებს შორის, რადგანაც მას დიდი წესი და რიგი შეაქვს ბიბლიოთეკით სარგებლობაში და მთელ საბიბლიოთეკო საქმეში. ხშირია, მაგალითად, რომ სახალხო ბიბლიოთეკა მრავალ წლების განმავლობაში ინახავს ვიწრო-სპეციალურსა და საზოგადოდ მისთვის შეუსაბამო ლიტერატურას, სამეცნიერო ბიბლიოთეკა კი პოპულიარულ გამოცემებს. ამ ორივესათვის ბალასტის დატოვებას არავითარი სერიოზული გამართლება არა აქვს და აქ, რასაკვირველია, გაცვლაა

*) Z. f. B. 1927 Heft 9-10, გვ. 480: წლეულს გერმანიის ბიბლიოთეკართა მე-23 ყრილობაზე G. Abb-ის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა. ზემომოყვანილ რიცხვში ხელნაწერები არ შედის.

**) ჩვეულებრივი შეერთებული კატალოგი—ეს არის რამდენიმე ბიბლიოთეკის ანბანურ-კარტაკულ კატალოგების პირები, ერთს კარტოთეკაში შეერთებული.

საჭირო. წიგნების და მთელი ფონდების გაცვლა ბიბლიოთეკების შორის შეერთებულ შტატებში 1917 წლიდან არის შემოღებული და საწარმოებს აქ ზემო მოხსენებული „ამერიკის საბიბლიოთეკო კავშირის" მე-39 ყრილობის მიერ შემუშავებული დებულების მიხედვით.*) ამისათვის ამჟამად ემზადება აგრეთვე რუსეთი.*) გაცვლის მიზანია: ფონდების რაციონალური განაწილება სახელმწიფოს ყველა წიგნთსაცავებში, იმისდამიხედვით, თუ რა ტიპისაა ბიბლიოთეკა – სასკოლოა, სამეცნიეროა, საუწყებოა თუ სხვა. რამდენად სასურველია წიგნების გაცვლა-გაგამოცვლა ჩვენში, ამას უწინარეს ყოვლისა ტფილისის წიგნთსაცავების შემადგენლობა გვეუბნება. მოვიყვან მაგალითებს. სკოლის გარეშე განათლების სახლის ბიბლიოთეკაში არის რამდენიმე ასეული იშვიათი მეცნიერული ღირებულების წიგნი—ლინგვისტიკის, სოციალიზმისა და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის, აღმოსავლეთისა, საქართველოს ისტორიის და სხვა დარგებიდან. დავასახელებ: Chardin, Toúrnefort, Tauernier, Della Valle Keinegs, Güldenstadt! ცხადია, ამ წიგნებს სამეცნიერო კვლევა-ძიების დაწესებულებაში უნდა მისჩენოდა ბინა, ე. ი. უნივერსიტეტის შესატყვის კათედრებსა და კაბინეტებში. ამავე დროს უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკაში სხვათაშორის ბელეტრისტიკა, საბავშო წიგნები და ჟურნალები, რომელიც სკოლის გარეშე განათლების სახლისათვის პირდაპირ „მისწრებაა", რადგანაც, როგორც ვიცით, სახლმა ფრიად საყურადღებო საქმეს მოჰკიდა ხელი: ამერიკული ტიპის საბავშო სამკითხველო-ლექტორიის მოწყობას. კიდევ მაგალითი. კომუნიერსიტეტის ბიბლიოთეკაში თავი მოყრილი აქვს ერთს სპეციალურ გეოგრაფიულ-გეოფიზიკურ კოლექციას, რომელიც ეკუთვნოდა ომის წინ არსებულ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას, ხოლო საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების ბიბლიოთეკას აქვს სახელმძღვანელოები, სასკოლო წიგნები და სხვა კომუნივერსიტეტისათვის საჭირო გამოცემანი. და ამ შემთხვევაშიაც გაცვლის საჭიროებას არ უნდა მტკიცება. ასეთი მაგალითები მრავალია, აქ ყველას ვერ ჩამოვთვლით და ამ ჟამად არც გვაინტერესებს ეს. ჩვენ სულ სხვა გარემოება უნდა აღვნიშნოთ. ბიბლიოთეკაში საზოგადოდ შეუსაბამო წიგნებისა და ბუკლეტების გაჩენა (კოლექციებად შეძენის, შემოწირულებების, ინკორპორაციებისა და სხვა გზით) ჩვეულებრივი მოვლენაა. გაცვლა-გამოცვლისა და საზოგადოდ წესიერი განაწილების წარმოებისათვის კი საკმარისი არ არის შემთხვევითი დაკავშირება ერთი ბიბლიოთეკისა მეორე ბიბლიოთეკასთან. მხოლოდ მუდმივი ორგანიზაციული კავშირი, ე. ი. ბიბლიოთეკების კოოპერატიზაცია აადვილებს და ამარტივებს ბიბ-

*) იხ. Ек. Лаппа—Старженецкая—Библиотека Конгресса и организ. работа америк. библиотек („Биб. Обозр." 1920 кн. II, стр. 120).

*) იხ. Информац. письмо Библиотечной комиссии Научно-Полит. секции ГУС-а научным библотекам, сост. в вед. Наркомпроса („Библ. Обозр". 1927. кн. I-II стр. 166) და მე-II კონფერენციის ერთერთი რეზოლიუცია კოოპერატიზაციაზე, იმავე ჟურნალში გვ. 116.

ლიოთეკებს შორის რაციონალურად გაცვლა-გამოცვლის წარმოებას **სხვა ოპერაციებთან ერთად.**

რაციონალური განაწილების საჭიროების გარდა, გაცვლა-გამოცვლას კიდევ უფრო საჭიროდ ხდის თანამედროვე ბეჭდვითი პროდუქციის ბუმბერაზი ზრდა და დიფერენციაცია. დღეს დიდს სახელმწიფო წიგნთსაცავებს აღარ შესწევთ ძალა ყველაფრის დაგროვებისათვის. მსოფლიო ბიბლიოთეკებსაც კი, როგორც ლონდონის, ლენინგრადისა და პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკებია, ხელი აქვთ აღებული ამაზე, როგორც განუხორციელებელ ამოცანაზე. მხოლოდ სპეციალურ ბიბლიოთეკებს ძალუძთ სრული ლიტერატურის დაგროვება ვიწროდ შემოფარგლულ დარგებში. გერმანელებმა სხვებზე ადრე გაიგეს ეს და შეჰქმნეს საუკეთოვოდ შერჩეული წიგნთსაცავები. С. ф. Ольденбург-ი სწერს გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ: „Настало время специальных библиотек, в них только могут создаться настоящие книжные орудия научной работы". რუსეთში „ГУС"-ის საბიბლიოთეკო კომისია დაბეჯითებით მოითხოვს სამეცნიერო ბიბლიოთეკებს, რომ მათს შემადგენლობის შევსებაზე სახელმწიფოს მიერ გაღებული კრედიტები არც ისე დიდია, რომ ყველაფრის შეძენა შეიძლებოდეს უსისტემოდ და ურჩევს: დაიცავით გეგმა სასტიკად, დაიწყეთ „Постепенный переход на путь специализации в одном или нескольких соприкасающихся областях знания" *) დღეს ჩვენს კავშირს ბეჭდვითი პროდუქციის განვითარებით უკვე პირველი ადგილი უკავია მთელ დედამიწაზე. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები ბეჭდვითი პროდუქციის შესახებ 1925 წელს შეეხება და გვიჩვენებს, რომ საფრანგეთში გამოსულა 14.943 ტომი, ინგლისში 13.202, გერმანიაში და გერმანულად მოსაუბრე ქვეყნებში ერთად (შვეიკარია, ავსტრია)—31.595 ტ. *). ამავე წელს, მოსკოვის წიგნის პალატის აღრიცხვის თანახმად, ჩვენს კავშირში გამოსულია **42.000 ტომი.** *) (1912 წლის პროდუქცია მაქსიმალური იყო ძველ რუსეთში და 34.630 ტომს უდრიდა) და ჩვენ ვიცით ოფიციალური დოკუმენტებიდან, რომ ეს რიცხვი არა ჩვეულებრივად იზრდება. ამიტომ ჩვენს კავშირში კიდევ უფრო მწვავედ სდგება ხოლმე შერჩევის საკითხი წიგნების შეძენის დროს, მეტადრე საშუალო ბიბლიოთეკებისათვის. რაგინდ დიდი უნარი გამოიჩინოს ბიბლიოთეკამ, მაინც ბევრი ძვირფასი წიგნი დარჩება

*) იხ. ზემოთ დასახელებული Информац. Письмо etc., გვ. 168.

*) Wirtschaft u statistik, 1927 sept.—Heft, № 17 გვ. 760. „არც ერთი ქვეყანა არ სცემს იმდენ წიგნს, რამდენსაც ჩვენ. მარტო ჩვენ გამოგვაქვს ბაზარზე იმდენი წიგნი, რამდენიც გამოაქვთ ერთად აღებულ საფრანგეთს, ინგლისსა და შეერთებულ შტატებს"—სწერდა ერთი გერმანელი სპეციალისტი 1907 წელს Jeschke, Voſksbibſ. Leipzig, გვ. 15). დღეს კი ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ბეჭდვითი პროდუქცია დაუპირისპიროთ მ თ ე ლ ი ე ვ რ ო პ ი ს პ რ ო დ უ ქ ც ი ა ს.

*) Ежегодник. Гос. Центр. Кн. Палаты. Вып. I. М. 1927, გვ. 41—42.

შეუძენელი და აი, ამ სფეროშიაც, როგორც დასავლეთის მაგალითი გვიჩვენებს ბიბლიოთეკების კოოპერტიზაციას უდიდეს შედეგების მიღება შესძლებია. ჯერ ერთი, წიგნების შესაძენად აქ ერთდება რამდენიმე ბიბლიოთეკა და ყიდულობს ერთად, მაშასადამე, თვითეული ბიბლიოთეკა უფრო მეტ წიგნს ყიდულობს და უფრო იაფად და, ამასგარდა, საჭირო დუბლეტების შეძენის საშუალებაც ეძლევა შემდეგ. თუ ერთი ბიბლიოთეკა ყიდულობს ერთ წყება წიგნებსა და ჟურნალებს, მეორე ბიბლიოთეკა ყიდულობს სულ სხვა წიგნებსა და ჟურნალებს. და ეს, რასაკვირველია შესაძლებელია იქ, სადაც ურთიერთი აბონემენტისა და გაცვლა გამოცვლის გარდა აქ ის სრული შეთანხმება და სანიმუშო ორგანიზაციული კავშირი ბიბლიოთეკების შორის.

(დასასრული იქნება)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს მ უ შ ა კ ი“

პედაგოგიურ—პროფესიონალური ო რ კ ვ ი რ ე უ ლ ი ჟურნალი

გამოცემა სახ. განათლების მუშაკთა კავშირისა

გამოდის ოქტომბრის პირველიდან თვეში ორჯერ, 1 და 15 რიცხვებში.

გრძელდება ხელისმოწერა პირველი ნომრიდან, ე. ი. კოლექტიური ხელისმოწერლები, რომელნიც ოქტომბრის დამლევს მოაწერენ ხელს უნდა გადაიხადონ პირველად ერთი მანეთი და შემდეგ ათ-ათი შაური თვეში, ვინც ნოემბრის დამლევს მოაწერს ხელს იხთის პირველად 1 მ. 50 კაპ., შემდეგ კი ათ-ათ შაურს თვეში, და ასე. ჟურნალი კი გაეგზავნებათ პირველი ნომრიდანვე.

წლიური ხელისმომწერთათვის ჟურნალი ეღირება

ექვსი მანეთი,

რომელიც გადახდილი უნდა იქნეს

ორ-ორ მანეთობით სამჯერ: ოქტომბრის პირველამდე, დეკემბრის პირველამდე, და თებერვლის პირველამდე.

კოლექტიური ხელისმომწერნი კი იხდიან თვიურად ათ-ათ შაურს.

მისამართი: ტფილისი, ფურცელაძის ქ. № 3

თ. ჯაფარიძე

სასკოლო აღწერა

1927 წ. 15 დეკემბრისათვის კავშირის ტერიტორიაზე და საქართველოში ჩატარებულ იქნება სოციალურ აღზრდის და პროფესიონალურ განათლების სასკოლო დაწესებულებათა სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერა. აღწერის მიზანია ყოველმხრივ გააშუქოს სწავლა-განათლების მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში და მით შექმნას ის უტყუარი მასალა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება პირველ დაწყებით სავალდებულო სწავლების შემოღების რეალურ პერსპექტიულ გეგმის შედგენა და მის შესრულებასთან დაკავშირებით მთელ რიგ სამხადისს სამუშაოთა მიზანშეწონილი და გეგმაზანათ ჩატარება ერთის მხრივ და მეორე—პროფესიონალურ განათლების დაწესებულებათა შესწავლით მოამზადოს მტკიცე ნიადაგი კვალიფიკაციურ მუშათა ძალის აღსადგენათ.

საქართველოში სწავლა-განათლების მდგომარეობის გაშუქებისა და შესწავლის მიზნით საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველო 1924-25 სასწავლო წლიდან მოკიდებული ყოველწლიურად აწარმოებდა კულტ-განმან. დაწესებულებათა მიმდინარე გამოკვლევას მოკლე პროგრამით; 15 დეკემბრის აღწერა კი თავის პროგრამით მთლიანად ამოსწურავს ყველა იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ აღზრდის და პროფესიონალურ განათლების დაწესებულებათა მდგომარეობასთან.

სასკოლო აღწერის მთელი პროგრამა გაშლილია ხუთ შემდეგ ძირითად ფორმულიარში: სოც.-აღზრდის და პროფ-განათლების დაწესებულებათა სასკოლო ფორმულიარები 1 და 2; დასახელებულ დაწესებულებათა პედაგოგიურ პერსონალის ფორმულიარი—მასწავლებლის ბარათი 3 ფ; ამ დაწესებულებათა მოსწავლეთა ნუსხა ფ. ფ. 4, 5.

სასკოლო ფორმულიარები 1 და 2 ითვალისწინებს შემდეგ მთავარ საკითხებს: I—**ზოგადი ცნობები სკოლის შესახებ**, II—**მოსწავლეთა შემადგენლობა**, III—**პედაგოგიური პერსონალი**, IV—**სკოლის მიწის ნაკვეთი** და სას. სამეურნეო ინვენტარი,—V—**სკოლის რაიონი** (სოც. აღზრ. სკოლებისათვის), VI—**სასკოლო შენობა**, VII—**სკოლის მოწყობილობა, სასწავლო დამხმარე საშუალებანი და სახელმძღვანელოები**, VIII—**სამოსწავლო ნაწილი**, IX—**სკოლის საზოგადოებრივი მუშაობა და** X—**სკოლის ბიუჯეტი.**

1-ლ განყ. ზოგადი ცნობების უმთავრეს ნაწილს შეადგენს კითხვები სკოლაში სწავლების კურსის ფაქტიურ ხანგრძლივობისა და სკოლაში სწავლების

ენის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ტიპის სკოლისათვის დაწესებულია განსაზღვრული ვადა სწავლების კურსის ხანგრძლივობისა. ჩვენ ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით ისეთ სკოლებს, რომლებიც დაწყების ან განვითარების პროცესშია; სრულად დამთავრებული სკოლები კი უმცირეს რაოდენობას წარმოადგენს. არსებულ სასკოლო ქსელის სრულად დამთავრებისა და გაძლიერებისათვის კი ამ მდგომარეობის გამორკვევას მთავარი მნიშვნელობა აქვს. ხაზ-გასმით უნდა აღინიშნოს საკითხი სკოლაში სწავლების ენის შესახებ, ვინაიდან დღევანდელ სკოლის ერთ ძირითად საფუძველად მიღებულია აუცილებელი პირობა, რათა სკოლამ მოზარდ თაობას სწავლა განათლება მიაწოდოს მისთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე, რის გამოც თვით სასკოლო ქსელი ენის მხრივ სათანადოთ უნდა ეფარდებოდეს ამა თუ იმ რაიონის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას. ამ საკითხის სისწორით გამორკვევასთან დაკავშირებულია სხვა მრავალი პრაქტიკული საკითხების გადაჭრა, როგორც სათანადო პედაგოგიურ პერსონალის მომზადება, ამა თუ იმ ენაზე ლიტერატურის გამოცემა და სხვა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ამავე განყოფილებაში საკითხი სკოლის დაარსების წელის შესახებ, რომლის პასუხითაც იქმნება შესაძლებლობა გამოირკვეს მთელი ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც არსდებოდა ცალკე სკოლა და ემატებოდა სასკოლო ქსელს.

სასკოლო ფორმულიარის II—განყ. იხილავს მოსწავლეთა შემადგენლობას ჯგუფების, ეროვნების და ახალგაზრდათა მოძრაობაში მონაწილეობის მიღების მიხედვით და აგრეთვე კითხვებს სკოლაში მიმდინარე წელს ახლად მიღებულთა და იმ ბავშთა რიცხვის შესახებ, რომელთაც ეთქვათ უარი სკოლაში მიღებაზე. კითხვების მიზანია ნათელჰყოს თუ რამდენად აკმაყოფილებს არსებული სასკოლო ქსელი ბავშთა მოსახლეობის სწავლა-განათლების მოთხოვნილებას. კითხვა სკოლაში მიღებაზე უარის შესახებ დასმულია ვრცლად შრომის სკოლის საფეხურების და კონცენტრების მიხედვით, რათა გარკვევით აღინიშნოს შრომის სკოლის ის ნაწილი, რომლის გადატვირთვის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო პატარა არმია სასკოლო ჰასაკის მოსახლეობისა რჩება სკოლის გარეშე.

სასკ. ფორ. III—განყ. შეიცავს სკოლის ყველა მუშაკთა სიას სქესის, თანამდებობის და სხვა ნიშნების მიხედვით. სასკოლო ფორმულიარში ცნობები პედაგოგიურ პერსონალის შესახებ ისევე, როგორც მე-II განყოფილებაში ცნობები მოსწავლეთა შესახებ მოკლეთ არის მოყვანილი, ვინაიდან მათ შესახებ ყველა ცნობები ვრცლად არის დასმული მათ საპირადო ბარათში ფორმა 3 (მასწავლებლისათვის) და მოსწავლეთა ნუსხაში ფ. 4 და ფ. 5.

სასკოლო ფორმულიარის მე-IV განყ-ბა შეეხება **სკოლის მიწის საკითხს** და აღნიშნავს მოწაფეთა მონაწილეობას ამ მიწის ნაკვეთის დამუშავებაში.

სასკ. ფორმ. მე-V განყოფ. მთლიანად შეიცავს **სასკოლო რაიონის დახასიათებას**, ე. ი. თუ რომელ დასახლებულ პუნქტიდან (ქალაქი, სოფელი და სხვა)

დადიან მოსწავლენი სკოლაში, ყოველ პუნქტიდან რამდენი მოსწავლე, მანძილი პუნქტიდან სკოლამდე და ამ პუნქტში მყოფ კომლთა და მცხოვრებთა რაოდენობა. მიღებულ მასალის მიხედვით შესაძლებელი გახდება ყოველი სკოლის და მისი მთელი სასკოლო ქსელის მიმართ საშუალო რადიუსის განსაზღვრა ერთის მხრივ და მეორე, აღნიშვნა თუ რამდენად დატვირთულია სკოლის რაიონი მოსახლეობით; დასახელებულ კითხვებზე ცნობებს იძლევა შრომის სკოლას მხოლოდ 1 საფ. სკოლა (4 წლედი), არსებული როგორც დამოუკიდებლად, აგრეთვე 7 წლედ. და 9 წლედებთან.

სასკ. ფორ. მე-VI განყ.—**სასკოლო შენობა**—მოითხოვს დაწვრილებით ცნობებს სასკოლო შენობისა და სასკოლო ბინების შესახებ. ყოველ სასკოლო შენობის მიმართ აღინიშნება: სართულების რიცხვი, რა მასალიდან არის ნაგები შენობა, აქვს თუ არა შენობას წყალსადენი, კანალიზაცია და სხვა, რა თანხაშია დაზღვეული შენობა, სკოლის შენობაში მოთავსებულ სასკოლო ბინების ფართობი, მოცულობა ამ ბინების, მოწყობილობა და სხვა. სასკოლო აღწერის დროს ამ განყ-ბას ექცევა მთავარი ყურადღება, ვინაიდან საბოლოოდ დღემდის არ არის შესწავლილი ის შენობები, რომელშიაც მოქცეულია არსებული სასკოლო ქსელი, რითაც მოსპობილია შესაძლებლობა გადაჭრით ითქვას, თუ რამდენად აიტანს არსებული ქსელი სასკოლო შენობებისა მათში მოქცეულ სკოლების დასრულებას და დატვირთვას ჯგუფებისა და მასწავლებლების მხრივ.

სასკ. ფორ. მე-VII—**სკოლის მოწყობილობა, სასწავლო-დამხმარე საშუალებანი და სახელმძღვანელოები**,—ამ განყოფილების მიზანია გამოარკვიოს თუ რამდენად უზრუნველყოფილია სკოლა დასახელებულ საშუალებათა და სახელმძღვანელოებით. ამავე განყ-ბაში აღინიშნება ცნობები სკოლის ბიბლიოთეკის და აგრეთვე სკოლის მოწყობილობის მთავარ საგნების შესახებ როგორც: პარტები, დაფები და სხვა.

სასკ. ფორ. მე-VIII განყ.—**სასწავლო ნაწილი**—შეიცავს შემდეგ მთავარ კითხვებს: სკოლაში მეცადინეობის დაწყების და დამთავრების ვადა, სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტის ხანგრძლივობა და სასწავლო სამეცადინო დროს ხანგრძლივობა დღეებში თვეების მიხედვით. შემჩნეულია, რომ დაწესებულ უქმეების და არდადეგების გამოკლებით არის შემთხვევები სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტისა საგრძნობი ხანგრძლივობით, რაც, რასაკვირველია, უარყოფით გავლენას ახდენს სკოლისათვის დაწესებულ წლიურ სასწავლო გეგმის შესრულებაზე. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებელ საჭირო ზომების მისაღებად აუცილებელია გამოირკვეს ყველა ის მიზეზები, რომლებიც იწვევს სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტას.

სასკ. ფორ. მე-IX—**სკოლის საზოგადოებრივი მუშაობა**—მოწყობილია თუ არა სკოლაში კლუბი, წრეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მათში წევრთა და ნამუშევარ საათების რიცხვი და სხვა. მონაწილეობს თუ არა სკოლა ადგი-

ლობრივ ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში და რაში გამოიხატება ეს მუშაობა და სხვა.

სასკ. ფორ. მე-X განყ.—**სკოლის ბიუჯეტი**—1926-27 სამ. წელს. ყოველმა სკოლამ დაწვრილებით და ზუსტათ უნდა აღნიშნოს დასახელებულ წლის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული ხარჯები და ამ უკანასკნელთა დასაფარავად მიღებული შემოსავალი წყაროების-და მიხედვით.

ფორმულიარი მე-3—მასწავლებლის საპირადო ბარათი, ივსება სოც. აღზრდის და პროფესიონალურ განათლების სასკოლო დაწესებულებათა პედაგოგიურ პერსონალზე (მასწ ვლებლები, ხელმძღვანელნი, ინსტრუქტორები და ოსტატები; უკანასკნელნი პროფ-განათლების სასწავლებელთა სახელოსნოებში). ბარათი ითვალისწინებს შემდეგ კითხვებს: სქესი, ჰასაკი, ეროვნება, დედა-ენა, ენა, რომელზედაც მასწავლებელი ასწავლის, პარტიულობა, მასწავლებლის მიერ მიღებული განათლება (რომელი სასწავლებელი დაამთავრა ან სწავლობდა), პედაგოგიურ მოღვაწეობის ხანგრძლივობა, რომელ ჯგუფებში ასწავლის და რა საგნებს, მის მუშაობასთან დაკავშირებულ დროს აღნიშვნა საათებში და სხვა ის საკითხები, რომელიც არკვევს მასწავლებლის ხელფასს, მის უზრუნველყოფას უფასო ბინით, გათბობით და სხვა და აგრეთვე მის ხარჯზე მყოფ მის ოჯახის წევრთა რიცხვის.

საქართველოში განათლების მუშაკთა სტატისტიკურ აღრიცხვაში ბარათული სისტემა მხოლოდ ამ აღწერაშია პირველად მიღებული. ამ სისტემის აუცილებლობას მოითხოვს ის ვრცელი პროგრამა, რომელიც ზემოთ დასახელებულია ერთის მხრივ და მეორე—შემდეგი მთავარი მოსაზრება: სასკოლო ფორმულიარში მასწავლებელთა სიობრივი აღრიცხვა გვაძლევს მხოლოდ სამასწავლებლო თანამდებობათა საერთო რიცხვს და არა მასწავლებელთა, ე. ი. ფიზიკურ პირთა საერთო რიცხვს. ამ ორ რიცხვს შორის გარკვეულ ზღვარის დადებას უშლიან რამოდენიმე სასწავლებელში შემთავსებლად მომუშავე მასწავლებლები. ამ უკანასკნელთა გამოყოფა მოხდება შემდეგი წესით: მასწავლებელი—საპირადო ბარათს შეავსებს ყოველ იმ სასწავლებელში, სადაც ის მუშაობს, მხოლოდ სრულად, ე. ი. ყოველ კითხვაზე პასუხის გაცემით ბარათს შეავსებს იმ სასწავლებელში, სადაც მუშაობა მას მიაჩნია თავის ძირითად თანამდებობად, დანარჩენ შეთავსებით მომუშავე სასწავლებლებში კი შეავსებს ბარათის მხოლოდ ზოგიერთ ინსტრუქციის განსაზღვრულ კითხვებს.

ფორმულიარები 4 და 5—სოციალურ აღზრდის და პროფესიონალურ განათლების სასწავლებელთა მოსწავლეების ნუსხა. ნუსხა შედგარია ცხრილის სახით, რომლის ქვემდებარეში მოსწავლენი ჩაიწერებიან ცალკ-ცალკე სტრიქონით და გასცემენ პასუხს ნუსხის შემასმენელში მოყვანილ შემდეგ საკითხებს: სქე ი, ჰასაკი, ეროვნება, დედა-ენა, ვის რჩენაზე იმყოფება მოსწავლე, მოსწავლის მარჩენალის მთავარი მოსაქმეობა და მდგომარეობა მოსაქმეობაში, რამდენი

წელიწადი სწავლობს მოსწავლე, რომელ ჯგუფშია, რომელ ენაზე სწავლობს, რამდენი წლის შევიდა სასწავლებელში, სად ცხოვრობს, მშობლებთან თუ კერძო ბინაზე, რა მანძილია მის საცხოვრებელ ადგილიდან სკოლამდე და რა მანძილია მისი მშობლების საცხოვრებელ ადგილიდან (თუ მოსწავლე კერძო ბინაზეა) სკოლამდე. საკითხი მანძილის შესახებ დასმულია მხოლოდ მე-4 ფორ. სოც.-აღზრდ. მოსწავლეთათვის. დასახელებულ საკითხებით გამორკვეულ უნდა იქნეს ორი მანძილი პირველი—მოსწავლის ყოველდღიური სასიარულო მანძილი და მეორე—მანძილი, რომელიც არის მოსწავლის მშობლების მუდმივი საცხოვრებელ ადგილიდან ამ პუნქტამდე, სადაც მოსულა მოსწავლე სასწავლებლად. ამ ორი მანძილის გამორკვევით ჩვენ გვეძლევა საშუალება მივიღოთ ცნობები როგორც სკოლის რაიონის რადიუსის, აგრეთვე იმ რადიუსის შესახებ, რომლის გავლა სჭირდებათ სხვა სასკოლო რაიონის მოსწავლეებს ამ პუნქტამდე.

პროფესიონალური განათლების მოსწავლეთა ნუსხაში გათვალისწინებულია შემდეგი დამატებითი საკითხები: რა მოსაქმეობას ეწეოდა მოსწავლე ამ სასწავლებელში შესვლამდე, როგორი საერთო განათლების მომზადება ჰქონდა, მისი პარტიულობა, პროფ-კავშირის წევრობა, ღებულობს თუ არა სტიპენდიას და რამდენს იხდის სასწავლო ფულს.

ყველა ამ ზემოდასახელებულ ფორმულიარებით ამოიწურება ის სააღწერო პროგრამა, რომლის შესახებ ცნობას თვით სკოლა იძლევა პედაგოგიურ პერსონალის მეშვეობით.

სააღწერო პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე შემდეგ დამატებით ორ ფორმას—საუბნო ინსტრუქტორის და მაზრის ხელმძღვანელის საანგარიშო ფურცლები—ფორმა 7 და ფ. 8. ორივე ფორმა იესება აღწერის დამთავრების შემდეგ, რომლებშიაც გარდა აღწერის წინასწარ ჯამებისა მოთავსებულ იქნება ცნობები იმ თანხების შესახებ, რომელიც 1926-27 საბიუჯეტო წელში გაღებულ იყო თემის და მაზრის ადგილობრივ ბიუჯეტებიდან სწავლა-განათლების საჭიროებათათვის საერთოდ და კერძოდ 1927 წელში დამთავრებულ სასკოლო შენობათა მშენებლობისათვის.

ამ რიგად 15 დეკემბრის აღწერით დამზადებული იქნება მასალა, რომლის მიხედვითაც შეისწავლება ჩვენი ქვეყნის სწავლა-განათლების, როგორც მიმდინარე მდგომარეობა, აგრეთვე ის საფუძვლები, რომლის მიხედ ითაც შესაძლებელი გახდება პირველდაწყებით საყოველთაო სწავლების შემოღების სამზადის სამუშაოთა გეგმიანად ჩატარება.

ს. ფანცხავა

ჩვენი სასკოლო აღწერა.

15 დეკემბერს საქართველოს ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში ჩატარდება სასკოლო აღწერა. დანიშნულებას და მიზანს შეადგენს საყოველთაო, სავალდებულო სწავლის გეგმის დასაჩქარებლად აუცილებელ მასალების შეკრება.

როგორც ყოველგვარ ისე სასკოლო აღწერას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საჭიროა მას მოვეპყრათ სათანადო ყურადღებითა და სერიოზულობით. აღწერის ჩასატარებლად დამტკიცებულია ცენტრში 5 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელიც დახმარებას და ხელმძღვანელობას გაუწევს ადგილობრივ ორგანოებს.

აღწერას უხელმძღვანელებს „ცესუს“ და განათლების კომისარიატის წარმომადგენლები.

უკვე გამოიცა მთავრობის დეკრეტი სასკოლო აღწერის შესახებ. კომისიის მიერ შემუშავებულია სათანადო ინსტრუქციები და სხ., რაც აუცილებელია აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის.

კომისიები დაარსებულია აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებში, სადაც კომისიის თავმჯდომარეა განათლების კომისარი, აღწერის ხელმძღვანელი სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს მმართველი და განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი—კომისიის მდივანი. ისევე, როგორც ცენტრში მაზრებშიაც არსდება სასკოლო აღწერის კომისიები (სამეული). სამეულშია მაზრის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე (თავმჯდომარე), სტატ განყოფილების გამგე (აღწერის ხელმძღვანელი) და განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი.

სამეულს მაზრაში აღმასკომის პრეზიდიუმის უშუალო დახმარებით ეკისრება უხელმძღვანელოს აღწერის წარმატებით ჩატარებას და ყოველ ცალკე შემთხვევაში დახმარება გაუწიოს სააღმწერო შემადგენლობას.

სამეულს ეკისრება მაზრაში უფრო მომზადებულ მასწავლებლებიდან გამოიწვიონ რამდენიმე პირი, რომელიც ინსტრუქტორობას გაუწევს სკოლებს და სააღმწერო შემადგენლობას.

ასეთი ინ ტრუქტორები არჩეულნი უნდა იქნენ უმთავრესად სკოლების გამგეთა შემადგენლობიდან, უფრო იმ სკოლიდან, რომელიც ტერიტორიულად მოქცეული იქნება საინსტრუქტორო უბნის ცენტრში.

ასეთ ინტრუქტორებს ეწოდებათ საუბნო ინსტრუქტორები. საუბნო ინსტრუქტორების თანამდებობაზე მოწვეული განათლების მუშაკნი, თანახმად საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებისა სააღწერო პერიოდის გან-

მავლობაში განთავისუფლებულ უნდა იქნენ მათა ძირითადი თანამდებობის ასრულებისაგან. საუბნო ინსტრუქტორი თითო მაზრაზე განსაზღვრულია 3—10-დე.

მთელი მაზრა უნდა დანაწილდეს რამოდენიმე საინსტრუქტორო უბნათ, დაახლოვებით თითო ასეთ უბანზე უნდა მოდიოდეს 20—25 სკოლა. ყველა საინსტრუქტორო უბანს ეყოლება თითო საუბნო ინტსრუქტორი რომლის მოვალეობას შეადგენს:

1) ინსტრუქცია გაუწიოს მის უბანში ყოველ სკოლის გამგეს და საამწერო მემადგენლობას, რა თემა უნდა, პირველ რიგში აღწერის უფრო სუსტ და სათანადოთ მოუმზადებელ მონაწილეებს, 2) ჩამოიაროს და გაიცნოს თავის საინსტრუქტორო უბანი, 3) კარგად შეითვისოს ინსტრუქცია, 4) შეამოწმოს საინსტრუქტორო უბანზე შედგენილი სასკოლო დაწესებულებათა წინასწარი სიის სისრულე, 5) ადევნოს თვალყური ფორმულიარების სისწორით და ინსტრუქციით განსაზღვრულ ვადებში შევსებას, 6) ჩაიბაროს შევსებული სასკოლო აღწერის მასალა, გაუწიოს მას კონტროლი, 7) შეავსოს საუბნო ინსტრუქტორის საანგარიშო ფურცელი და 8) შემდეგ მთელი მასალა ჩააბაროს მაზრის სასკოლო აღწერის ხელმძღვანელს.

ამით დასრულდება საუბნო ინსტრუქტორის მოვალეობა.

ფორმულიარების შევსებისათვის მოწვეულია სკოლის გამგეები და მასწავლებლები.

სკოლის გამგე ავსებს სკოლის ფორმულიარს ან და მისი დავალებით რომელიმე მასწავლებელი. მასწავლებლები შემდეგ ჯგუფობრივ ავსებენ მოსწავლეების უწყებებს და მასწავლებლების პირად ბარათებს. მოსწავლეები ეხმარებიან მასწავლებლებს და გამგეებს მხოლოდ სკოლის ინვენტარის დათვლასა და სკოლის შენობის გაზომვაში, **დანარჩენში მოსწავლეები მონაწილეობას არ იღებენ.**

ამგვარად სასკოლო აღწერის მუშაობა იწყება 12 დეკემბერს. 12 დეკემბრიდან 14 დეკემბრამდე უნდა შეივსოს სკოლის ფორმულიარი, მოსწავლეების უწყება და მასწავლებლის ბარათი.

ყველაზე რთული შესაესებია მოსწავლის ბარათი. ამიტომ 12, 13 და 14 დეკემბერს უნდა გამოირკვეს 15 დეკემბრისათვის რამდენი ისეთი მოსწავლე იქნება სკოლაში, რომელსაც თავი არ დაუნებებია სკოლისათვის. უკანასკნელების რიცხვი უნდა გამოირკვეს მხოლოდ ამ დღეებში, რომ 15 დეკემბერს უკვე შეიძლებოდეს მოსწავლის უწყების შესწორება სათანადოთ.

თუ მოსწავლე ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა ამ დღეებში სკოლაში მათ შესახებ ცნობებს შეკრებენ ან მშობლები ან და ამხანაგები მასწავლებლის დავალებით.

15 დეკემბერი მიჩნეულია კრიტიკულ დღედ, ე. ი. ამ დღეს შეფარდებული უნდა ქონდეს ყველა ცნობები. რა მდეომარეობაც ამ დღეს ან დღისა-

თვის იქნება (ეს ეცოდინება გამგეს) სკოლაში სწორედ იმას აღნიშნავთ ფორმულიარებში.

ამ გვარად, 15-ში აღწერა დასრულდება. შემდეგ სკოლის გამგე შეასწორებს ფორმულიარებს და ამ დღესვე მოსწავლეებს და მასწავლებლების შესახებ ცნობებს ჩაიტანს სკოლის ფორმულიარში.

შემდეგ მასალას დაალაგებს და გადასცემს საუბნო ინსტრუქტორს. საუბნო ინსტრუქტორი შეადგენს საუბნო ინსტრუქტორის ფორმულიარს და გადასცემს აღწერის ხელმძღვანელს. აღწერის ხელმძღვანელი მთელ მასალას მიიღებს ინსტრუქტორისაგან; ინსტრუქტორის მიერ შევსებულ ფორმულიარისგან შეავსებს ხელმძღვანელის საანგარიშო ბარათს და მთელ მასალას ამ ბარათთან ერთად გადმოგზავნის სტ. ცენტრ. სამმართველოში.

აღწერა და ყველა ზემო-აღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულდეს 10 დღის განმავლობაში, ე. ი. იწყება 12 დეკემბერს და დასრულდება 22 დეკემბერს.

22 დეკემბრის შემდეგ უკვე მასალა უნდა გადმოიგზავნოს.

მასწავლებლებმა და სკოლის გამგეებმა ფორმულიარები უნდა შეავსონ სრული სისწორით, მელნით გარკვეული ხელით, რომ ჩაწერილის გარჩევა ადვილად შეიძლებოდეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლის ფორმულიარის ბიუჯეტს განყოფილებას, საცა ცნობები ჩატანილ უნდა იქნეს ნამდვილ წყაროდან.

ადგილობრივი აღწერის ჩამტარებელი კომისია ვალდებულია სწრაფი და ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს სასკოლო აღწერის ხელმძღვანელს ყველა იმ გაუთვალისწინებელ და ცალკე დამაბრკოლებელ შემთხვევაში, რომელთაც ადგილი ექნება თვით აღწერის პროცესში.

ჩვენ წინდაწინ იმედს გამოვთქვამთ, რომ განათლების მუშაკნი, ჩვენი სახალხო მასწავლებელნი, ენერგიულად დაგვეხმარებიან და ამ დიდ საქმეს პირნათლად შეასრულებენ.

სასკოლო აღწერა უნდა ჩატარდეს, თვით სკოლის მუშაკების მიერ, რომლებიც უშუალოდ ჩაბმულნი არიან ჩვენ სწავლა-განათლების საქმეში სოფლად.

მ. კინწურაშვილი

სახალხო განათლების დაწესებულებათა მიმდინარე გამოკვლევა

წელს დეკემბრის 15-ს სასკოლო აღწერასთან ერთად უნდა ჩატარებულ იქნას მიმდინარე გამოკვლევაც სახალხო განათლების დაწესებულებათა.

როგორც ვიცით, სასკოლო აღწერა, როგორც საერთოდ აღწერა (მაგ., დემოგრაფიული, სასოფლო-სამეურნეო და სხვ.) ყოველწლიურად არ ხდება, ხოლო სახალხო განათლების დაწესებულებათა სისტემატიური დაკვირვება და ამ დაწესებულებათა შესწავლა კი მიუკილებლად საჭიროა გეგმიან მუშაობის საწარმოებლად სახალხო განათლების დარგში. ამ მიზანს ემსახურება სახალხო განათლების დაწესებულებათა მიმდინარე გამოკვლევა. ასეთი გამოკვლევა ყოველწლიურად ტარდება საქართველოს რესპუბლიკაში ისე, როგორც საბჭოთა მთელს კავშირში. თვითეულ რესპუბლიკაში ამ გამოკვლევას ხელმძღვანელობს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო და მისი ადგილობრივი ორგანოები, სტატ-განყოფილებანი და სტატბიუროები. გამოკვლევის შედეგები ქვეყნდება სტატისტიკის ადგილობრივ ბეჭდვითი ორგანოებში და იგზავნება ცენტრშიაც, სტატისტიკის საკავშირო ცენტრალურ სამმართველოშიაც.

წელს სასკოლო აღწერის გამო, სოციალური აღზრდისა და პროფესიონალური განათლების ზოგი დაწესებულებები მიმდინარე გამოკვლევაში არ მოჰყვება. სასკოლო ფორმულიარებში იმდენად რთული და ამომწურავი საკითხებია, რომ მიმდინარე გამოკვლევის ფორმებს დამატებით გამოსაკვლევად ხსენებულ დაწესებულებებში არაფერი დარჩენია-რა.

მაგრამ აღწერა არ შეეხება სახალხო განათლების მთელ რიგ დაწესებულებებს, რომლებიც მიმდინარე წესით იქნება გამოკვლეული. ამ დაწესებულებებისათვის არსებობს მიმდინარე გამოკვლევის ცალ-ცალკე ფორმები.

ფორმა I-ით გამოკვლეული იქნებიან ბავშთა სოციალურ-უფლებრივი დაცვის დაწესებუ ებანი, ე. ი. საბავშო სახლები ნორმალურ ბავშთათვის, გონებრივ ჩამორჩენილთათვის, ძნელად ასაზრდელთათვის, ფიზიკურად დეფექტიურთათვის, მოზარდთათვის, საბავშო ახალშენები, კომმუნები, მიმღებ-განმანაწილებელი საბავშო დაწესებულებანი და იზოლიატორები.

აქ ჩვენ გვაქვს საერთო ხასიათის საკითხები დაწესებულების დაქვემდებარებისა, ბავშთა სამეკადინო ენისა, წლოვანებისა და სხვათა შესახებ. ცალკე ცხრილში მოცემული უნდა იქნეს ცნობა დაწესებულების ყველა მუშაკთა შესახებ: მათი ჯგუფები, პარტიული შემადგენლობა და სხვ. ფრიად საყურადღებოა ცხრილი, რომელიც უნდა შეივსოს ცნობებით ბავშთა მოძრაობის შესახებ 1927 წელს: რამდენი იყო დაწესებულებაში წლის დამდეგს, რამდენი იქნა მიღებული,

რამდენი წავიდა, რამდენი დარჩა წლის დამლევს. საყურადღებოა ცხრილი მოსწავლეთა ოჯახურ მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ცხრილი შესახებ იმ ადგილის დასახლებით, სადაც წავიდნენ. დანარჩენ ცხრილებში უნდა მოცემულ იქნას ცნობები ბავშთა ეროვნებისა და სახელოსნოების შესახებ. როგორც ვხედავთ, ეს ფორმა მეტად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი და იგი შესაფერის ყურადღებით უნდა შეეხოს.

ფორმა I-ა შეეხება ბავშთა ქალაქებს და შეიცავს ანალოგიურ საკითხებს, როგორც ფ. I, რასაკვირველია, საკითხების შეცვლით სპეციალური საგნის მიხედვით და ზოგი საკითხის დამატებით.

ფ. II—შეეხება საბავშო ბაღებს და კერებს. ამ მოკლე ფორმით ჩვენ გვექნება ცნობები მუშაკთა ფაქტიურ შემადგენლობაზე და მოსწავლეთა შემადგენლობაზე სქესისა და ეროვნების მიხედვით.

ფ. III-ით გამოკვლეული იქნება მოკლევადიანი პროფესიონალური კურსები, სადაც სწავლა ერთ წელზე ნაკლებ გრძელდება. აქ ჩვენ გვაქვს დამატებით კითხვა ხარჯის მუხლებისა და შემოსულის წყაროების შესახებ.

მე-IV და მე-V—ფორმები შეეხება პოლიტგანათლების შემდეგ დაწესებულებებს: საზოგადო განათლების I და II საფეხურის სკოლებს მოზრდილთა და მოზარდთათვის, საბჭოთა პარტიულ სკოლებს I და II საფეხურისა, საღამოს საზოგადო განათლების სკოლებს, მუშათა ახალგაზრდობის კურსებს, გლეხთა კურსებს და სხვ., წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებს, წერა-კითხვის მცირე მცოდნეთა სკოლებს, პოლიტსკოლებს და პოლიტკურსებს. ამ ფორმებში ჩვენ გვაქვს ამომწურავი კითხვები მასწავლებელთა და მოსწავლეთა (მსმენელთა) შესახებ.

ფ. VI—შეეხება ბიბლიოთეკებს—ცენტრალურს, სარაიონოს, ქალაქისა და თემისას, სოფლისას, იმ ბიბლიოთეკებსაც, რომლებიც არსებობენ ქოხ-სამკითხველოებთან, სახალხო სახლებთან, გლეხთა სახლებთან, კლუბებთან, ჭარხნებთან საჭარხნო-საფაბრიკო ადგილკომებთან, პროფსაბჭოებთან, კოლლექტორებს და მოძრავი ფონდებს, საბავშო ბიბლიოთეკებს და ბიბლიოთეკებს, რომლებიც არსებობს წითელი კუთხეებთან. ამ ფორმის მიხედვით საერთოდ და კერძოდ ტფილისში ჩვენ მივიღებთ მეტად საყურადღებო ცნობებს წიგნის მარაგის შესახებ ჩვენს ბიბლიოთეკებში. ცნობები წიგნების მოძრაობის შესახებ მოცემული იქნება დეციმალურ-სისტემის მიხედვით.

ფ. VII-ში, რომლითაც გამოკვლეული იქნება ქოხ-სამკითხველოები, სხვათა შორის, ჩვენ გვექნება მეტად საჭირო ცნობები ქოხ-სამკითხველოების მასსიურ მუშაობის შესახებ მუშაობის სახის მიხედვით (მასსიური კრებები, მოხსენებები, ლექციები, საუბრები, პოლიტგასამართლება და აგიტგასამართლება, ხმამაღლა კითხვა, სპექტაკლები, საღამოები, ექსკურსიები, კინოსეანსები და სხვ.). მნიშვნელოვანია კითხვა ქოხ-სამკითხველოებთან არსებული წრეების მუშაობის შესახებ.

ფ. VIII – შეეხება მუშათა, პროფესიონალურს, პარტიულს და კავშირელთა კლუბებს, აგრეთვე ს ხალხო სახლებს. ჩვენ აქაც, როგორც მე-VII ფორმაში, ეხდებით საკითხებს კლუბის მიერ ჩატარებული მასსიური მუშაობისა და კლუბებთან არსებული წრეების შესახებ.

ფ. IX– შეეხება თეატრებს (დრამას, ოპერას, ბალეტს, ოპერეტტას, საბავშო თეატრს და სხვა), ცირკებს, საკონცერტო დარბაზებს. სხვა საკითხებ შორის აქ მეტად მნიშვნელოვანია დასახელება ყველა პიესებისა, რომლებიც წარმოდგენილი იყო ამა თუ იმ თეატრში დაყოფით რევოლუციის წინა და რევოლუციის შემდეგ რეპერტუარად.

მუდმივი ხასიათის კინო-მოწყობილობანი აღირიცხება ფ. IXა თი. აქ ჩვენ გვეკნება კინო-ფილმების რიცხვი თვეების დასახელებით, მათი დანაწილება იმის მიხედვით, თუ სად დამზადდენ საბჭოთა კავშირში თუ საზღვარგარედ, აგრეთვე ამ კინო-ფილმების დასახელება, გამოშვების წელი და ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენჯერ იყო ნაჩვენები ფილმა და რამდენი დაესწრო მნახველი თვითეულ ფილმას.

ფ. X-ში აღირიცხება წითელი კუთხეები, ხოლო ფ. XI-ში საბავშო მოედნები.

ფ. XII—შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს უნივერსიტეტეს, სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებს, აკადემიებს, კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებს, ხოლო ფორმა XIIა-ში აღირიცხებიან მუშათა ფაკულტეტები და მუშათა უნივერსიტეტები.

ჩვენ მხოლოდ ზოგადად ჩამოვთვალეთ ფორმები და ის დაწესებულებანი, რომლებიც უნდა აღრიცხულ იქნან ამა თუ იმ ფორმით. არსებითად თვითეულ ფორმაში საკითხები დასმულია მარტივად და საჭიროა მხოლოდ მათი გაცნობა და ყურადღებით შესწავლა.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ჩვენთვის საჭიროა ყოველი მოვლენის და ამ შემთხვევაში კი სახალხო განათლების დაწესებულებათა სისტემატიური დაკვირვება და შესწავლა. გარეშე ამ სა შეუძლებელია გეგმიანი მუშაობის წარმოება და წინსვლა. ჩვენ ასეთი დაკვირვებით გვეგროვდება მასალები ყველა წლებისა და საშუალება გვეძლევა ცნობათა ერთმანეთთან შედარებით გამოვიტანოთ შესაფერი დასკვნა ჩვენი მუშაობის შესახებ. სახელმწიფოს და სახალხო განათლების დაწესებულებათ უნდა ჰქონდეთ უტყუარი სტატისტიკური ცნობები. აქედან გამომდინარეობს გამოკვლევის მნიშვნელობა და ამასთან დაკავშირებით ყურადღება, რომელიც უნდა მიექცეს სასკოლო აღწერასთან ერთად სახალხო განათლების დაწესებულებათა მიმდინარე გამოკვლევასაც ჩვენს რესპუბლიკაში.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 18

(საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. ნოემბ. 11).

1928 წლის უქმე და დასვენების განსაკუთრებული დღეების შესახებ.

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მე 111, 112 და 113 მუხლებისა, საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. 1928 წ. გამოცხადდეს შემდეგი უქმე და დასვენების განსაკუთრებული დღეები:

ა) **უქმე დღეები:**

1) 1-ლი იანვარი - ახალი წელი,
2) 22 იანვარი—1905 წ. 9 იანვრის, და ლენინის ხსოვნის დღე.
3) 25 თებერვალი—საქ. გასაბჭოების დღე.
4) 12 მარტი—თვითმპყრობელობის დამხობის დღე.
5) 18 მარტი—პარიზის კომუნის დღე.
6) 1 მაისი—ინტერნაციონალის დღე.
7) 20 სექტემბერი—26 კომუნარების დღე.
8) 7 ნოემბერი—ოქტომბრის რევოლუციის დღე.

ბ) **დასვენების განსაკუთრებული დღეები:**

9) 19 იანვარი.
10) 16 აპრილი.
11) 2 ივლისი.
12) 23 ივლისი.
13) 20 აგვისტო.
14) 8 ნოემბერი.

2. პირველი მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილ დღეების წინა დღეებში სამუშაო დღე 6 საათს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილ წინა დღეს სამუშაო დღე არ უნდა შემცირდეს.

3. უქმე და დასვენების განსაკუთრებულ დღეებში მუშაობა (ამ დადგენილების 1-ლ მუხ.) უნდა წარმოებდეს შემდეგ წარმოებებში: წყალსადენი, ტელეფონი, ელექტრო-სადგურები, საავადმყოფოები, აფთიაქები, ტელეგრაფი, აგრეთვე ყველა მათში, რომელთა შეჩერება არ შეიძლება მუშაობის წარმოების ხასიათის გამო.

4. თვიურად შრომის ხელფასის გაცემის დროს მუშა-მოსამსახურეებს არ გამოექვითება თვიურ გასამრჯელოდან ყოველკვირეულ დასვენების დღეების (შრომ. კან. კოდ. 109 მუხ. უქმე და დასვენების განსაკუთრებულ დღეების ამ დადგენილ. 1-ლი მუხ.) ხელფასი; აგრეთვე არ გამოექვითებათ ყოველკვირეულ დასვენების და უქმეების წინა დღეების ორი შეღავათიანი საათისათვის.

5. ხელფასის დღიურად გაცემისას ყოველკვირეულ დასვენების დღეების (შრომის კან. კოდ. 113 მ.) და უქმეების (ამ დადგ. 1 მუხ. პუნ. „ა") წინა დღეებში შემოკლებულ დღისათვის მომუშავეთ ეძლევათ სრული დღიური ხელფასი და არაფერი დაეკავებათ შეღავათიან ორ საათისათვის.

6. დასვენების ყოველკვირეულ დღეების (შრ. კან. კოდ. 113 მუხ.) და უქმეების (ამ დადგენ. 1 მუხ. პუნ. „ა") წინა დღის შეღავათიან საათებისათვის ხელფასის გაცემის და ანგარიშის გასწორების წესი ნარდათ მომუშავე ან საათობრივ ხელფასის მიმღებ მუშებისათვის შეტანილი უნდა იქნეს კოლექტიურ და შრომის ხელშეკრულებებში.

იმ შემთხვევაში, როცა ეს დამატება შესულია ნარდ შეფასებაში ან სატარიფო განაკვეთში, ამის შესახებ მოხსენებული უნდა იქნეს კოლექტიურ ან შრომის ხელშეკრულებაში.

7. ყოველკვირეულ დასვენების, უქმე და დასვენების განსაკუთრებულ დღეებში შესრულებულ სამუშაოს (შრომ კან. კოდ. 109 მუხ. და ამ დადგენ. 1 მუხ.) ჯილდოს რაოდენობა არ შეიძლება იყოს ნორმალურ გასამრჯელოს ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები. ყოველკვირეულ დასვენების და უქმე დღეების (შრომ. კან. კოდ. 109 და ამა დადგენ. 1 მუხ. პ. „ა") წინა დღის შეღავათიან საათებში მუშაობისათვის ჯილდო გაცემულ უნდა იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე ნორმალურ ჯილდოს ერთ ნახევრის რაოდენობით.

8. ჯილდო გაიცემა ნორმალურ რაოდენობით. როცა ყოველკვირეული დასვენების ან უქმე დღის ნაცვლად მუშებს ეძლევათ 42 საათის დასვენება იმავე კვირის სხვა დღეს ან კიდევ დასვენების განსაკუთრებულ დღის ნაცვლად მათ ეძლევათ სხვა გასასვლელი დღე.

შეღავათიან საათებში მუშაობ-სათვის დამატებითი ჯილდოს ნაცვლად დასვენების საათების მიცემა კვირის სხვა დღეს, ყოველკვირეული (შრ. კან. კოდ. 109 მუხ.) და უქმე დღის (ამ დადგ. მუხ. პ. „ა") განუწყვეტელი 42 საათ. დასვენების განუწყვეტლობის დარღვევით—არ დაიშვება.

9. 8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გასულ დროისათვის გადაანგარიშების მოსახდენად.

საქ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე: **ი. ჭელიძე.**

შრ. დაცვის განყოფ. გამგე—**ელბაქიანი.**

შეთანხმებულია ს. პ. კ. ს. სატ. საეკ. გან. გამგე **ხვედელიძე.**

ბიბლიოგრაფია

პროფ. ვ. გ. პაილი. **ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლების დროს.** პრაქტიკული სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის. რუსულიდან ნათარგმნი ილია ფერაძის მიერ. სახელმწიფო გამომცემლობა. 1927 წ. ფასი 80 კ.

სწავლების და აღზრდის საკითხები ერთი ურთულესი საკითხებთაგანია, რომელთა შესწავლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. იმ მეცნიერებათა შორის, რომელნიც ამ საკითხებს არკვევენ, პირველი ადგილი პედოლოგიას და ფსიქოლოგიას უნდა დაეთმოს. ეს ორი მეცნიერება იმ ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომელზედაც შენდება აღზრდის და განათლების დიადი შენობა. მასწავლებელი, რომელიც სერიოზულად ეკიდება სწავლა-აღზრდის საქმეს, აუცილებლად უნდა გაეცნოს, როგორც პედოლოგიის, ისე ფსიქოლოგიის საფუძვლებს; მაგრამ ჩვენ სრულიად არ მოგვეპოვება ისეთი სახელმძღვანელოები, რომელნიც მასწავლებელს სწავლებისათვის გამოადგებოდეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უილიამ ჯემსის და სიოლი ჯემსის სახელმძღვანელოებს რუსულ ენაზე, რომელნიც უკვე საკმაოდ მოძველებულია. ეს ნაკლი გამოასწორეს რუსულ ენაზე პაილის წიგნის გადმოთარგმნით. ქართულად ეს წიგნი გადმოთარგმნა ილია ფერაძემ. პაილის „ფსიქოლოგიის გამოყენება სწავლების დროს“ 114 თეზისს შეიცავს თვითეული თეზისის ბოლოს მოყვანილია მისი ახსნა-განმარტება. პაილის თეზისები მოკლედ, მაგრამ ნათლად და მკაფიოდ იძლევიან მასწავლებლისათვის სამოქმედო პრინციპებს. მაგალითისათვის მოვიყვან რამოდენიმე თეზისს: „19. დავალების ჩაბარების ვადის ცოდნა ინტენსიური მუშაობის გაძლიერებას ხელს უწყობს, 44. განყოფილების ან მუხლის (პარაგრაფის) შასწავლის დროს საუკეთესო მეთოდია — წაიკითხო პირველად მთელი განყოფილება მთლიანად და შეიგნო ზოგადი იდეა, ხოლო შემდეგ გააცალკევო ძირითადი ფაქტები. 9. ა) მართლწერისათვის საკმაოა მაგალითის მცირე რიცხვი და არა უმეტეს 15 წუთის მეცადინეობა. არაა მიზანშეწონილი 30 წუთით მეცადინეობა და მრავალი მაგალითის შესწავლით მოწაფეთა დატვირთვა. დ) წაკითხვის სწავლება უმცროს ჯგუფებში არა უმეტეს 10-15 წუთისა უნდა გრძელდებოდეს...“ თითქმის არც ერთი საკითხი არ დარჩენილა, რომ პაილი არ შეხებოდეს თავის თეზისებში. აქ ნახავენ დარიგებას მათემატიკის მასწავლებელნი, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ენების, მუსიკის, ფიზიკის, ბუნებისმეტყველების, საზოგადოებათმეცნიერების და სხვ. წიგნში ბლომადაა ცარიელი გვერდები, რომელზედაც მასწავლებელს შეუძლია თავის შენიშვნების ჩაწერა; მასწავლებელს საშუალება ეძლევა თვითონაც დაკვირებანი მოახდინოს და შეამოწმოს პაილის თეზისები, თუ რამდენად ისინი სინამდვილეს შეესაბამებიან. ამ წიგნის ერთგვარი ნაკლი ისაა, რომ ამა თუ იმ პრინციპიალური დებულების დასაბუთება არ არის მოცემული. მაგრამ, თუ მხედვე-

ლობაში მივიღებთ წიგნის პრაქტიკულ დანიშნულებას, დასაბუთების საკითხიც მეორე ხარისხოვან საკითხად უნდა ჩაითვალოს და ამიტომ ეს ნაკლი სრულიად არ ამცირებს წიგნის ღირებულებას. წიგნი ნათარგმნია გასაგები ენით. ეს წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს არამცთუ მასწავლებლობას, არამედ ყოველ ინტელიგენტსაც, რომელიც ფსიქოლოგიისა და აღზრდის საკითხითაა დაინტერესებული. მასწავლებელი კი ამ წიგნის შესწავლით საგრძნობლად გააუმჯობესებდა, როგორც სწავლების ტეხნიკას, ისე ბავშებზე დაკვირების უნარსაც, რაც აუცილებელია ყოველთვის საკითხის მეცნიერული შესწავლისათვის.

ვსევოლოდ კაპანაძე

Календарь—Справочник и записная книжка педагога на 1927/28 год, გამოცემა: Гиз და „Работинк просвещения".

ძვირფასი საჩუქარი (უფასო პრემიის სახით) მოუვიდა Народный учитель"-ის შარშანდელ ხელის მომწერთ—ზემოთნახსენები „Записная книжка педагога". წიგნაკი ლამაზად არის გამოცემული. წიგნაკი შეიცავს 300 გვერდამდე. დართული აქვს ქარტები: საბჭოთა კავშირის, კავშირის ევროპიულ ნაწილის, ჩინეთის და მსოფლიოსი (პოლიტიკური). პირველ ნაწილში მოთავსებულია: კალენდარი, თავისუფალი ფურცლები, ცნობების ჩასაწერად და სხ. სხ. სიებისთვის და სხვა. შემდეგ მოდის კონსპექტურად ცოდნა სხვადასხვა დარგიდან, მაგ.: ცის მნათობთა ხილული მოძრაობა, დედამიწის წლიური ბრუნვა მზის გარშემო, მზის სისტემა, მზის და მთვარის დაბნელება, მეტეორები, კომეტები, ვარსკვლავები; მიწა—მიწის ფორმა, მიწის ქერქი, მთის ქანები; ცხოვრება მიწაზე სასიცოცხლო მოვლენები: კვება, სუნთქვა, მოძრაობა, გამღიზიანებლობა, გამრავლება, ცოცხალ და არაცოცხალ ბუნების ერთიანობა, ევოლუციონური მოძღვრება, ადამიანი; ადამიანთა საზოგადოება—პირველყოფილი ადამიანი, (სამეურნეო ფორმათა განვითარების მოკლე ისტორია), მშრომელთა საერთაშორისო ორგანიზაციები (I, II, III ინტერნაციონალები, პროფინტერნი, გლეხინტერნი, კომინტერნის საერთაშორისო ჭალთა სამდივნო, წითელი სპორტინტერნი, რემედასი). ს. კ. პ. (ბ) და ლენინი. საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუცია (დიაგრამებით). საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული მიმოხილვა; ს. ს. რ. კ. ადმინისტრატიული დაყოფვა; ს. ს. რ. კ. თავდაცვა; განათლების სისტემა და სხ. და სხ. შემდეგ: წმინდა პედაგოგიური საკითხები—დებულებები, სასკოლო მუშაობა, მუშაობის აღრიცხვა. მრავლად არის მოყვანილი საჭირო რჩევა-დარიგებანი, ლიტერატურის ჩვენება სხვადასხვა საკითხების შესასწავლად და სხ. სხ.

ყველაფრის ჩამოთვლა მოკლე წერილში შეუძლებელია.

ვფიქრობთ, თვითეული ადვილკომი უნდა ეცადოს, რათა განათლების მუშაკთა შორის გაავრცელოს აღნიშნული წიგნაკი და ამით ხელი შეუწყოს კავშირის წევრის სასოფლო, თუ საზოგადოებრივ მუშაობის სწორ ორგანიზაციას.

წიგნაკის ფასი—75 კაპ. არაა ძვირი.

დ. ყიფშიძე.

რედაქციისაგან. ,,განათლების მუშაკი''ს რედაქცია ამხადებს დასაბეჭდად ქართულ ენაზე ასეთსავე წიგნს ,,**მასწავლებლის თანამგზავრის**'' სახელწოდებით, რომელიც გამოვა დეკემბერში და ხელისმომწერლებს დაურიგდებათ შეღავათიან ფასებში.

კითხვა-პასუხი

შეკითხვა.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი ჟურნალის „განათლების მუშაკის" მორიგ №-ში გვაცნობოდ შემდეგი: ბოლო ორი თვის უკან გაზეთ „კომუნისტის" ერთ-ერთ №-ში ეწერა, რომ მასწავლებელთა ხუთწლეულებისათვის საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გადადებულია 100 მილ. მან. გთხოვთ გვიპასუხოთ: ეხება თუ არა ეს ხუთწლეულები საქართველოს მასწავლებლობას და თუ ეხება,—როგორი თვიდგან და რა პირობებში. გთხოვთ გვაცნობოთ ძლიერ საჩქაროდ, რადგანაც მასწავლებლობა ძლიერ დაინტერესებულია ამ საკითხით.

ივანე გედევანიძე.

პასუხი.

საბჭოთა რუსეთში მასწავლებელთა ხუთწლეულები დაკანონებულია ა. წ. ოქტომბრის პირველიდან.

ჩვენშიაც დასმულია ეს საკითხი სათანადო ორგანოებში და სწარმოებს მუშაობა საჭირო თანხის რაოდენობისა და წყაროს გამოსაკვლევად.

შემდეგ ნომერში მთვათავსებთ წერილს ამ საკითხის შესახებ, სადაც განმარტებული იქნება, თუ როგორ ტარდება მასწავლებელთა ხუთწლეულები რ. ს. ფ. ს. რ.-ში რა წესები არსებობს ამისათვის და როდის რაა შესაძლებელი და მოსალოდნელი ჩვენში.

წინა ნომერში მოთავსებულ წერილში „მ. გ. ჯანაშვილი" გაგვეპარა შემდეგი შეცთომები:

გვ.	26	სტრიქ. 5	14 მარტს	უნდა იყოს	19 მარტს
გვ.	27	„ 20	урис	„ „	урне
	„	„ 31	1845	„ „	1895
გვ.	28	„ 10	идиалы	„ „	идиомы
გვ.	29	„ 9	ქსნის	„ „	ურბნისის
	„	შენიშვნაში	ციოგლინსკიმ	„ „	ციონგლინსკიმ

ქ რ ო ნ ი კ ა

ტფილისის განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობას. ქალაქ ზუგდიდის სკოლის მუშაკთა საზეიმო კრება მოწვეული ოქტომბრის დიდი რევოლუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად განათლების მუშაკთა სახლში გესალმებათ თქვენ განათლების მუშაკთა ინტერესების დამცველთ. კრება ხაზგასმით აღნიშნავს დიდი შედეგების მიღწევას განათლების ფრონტზედ, რაც მიეწერება საბჭოთა ხელისუფლების საღ პოლიტიკას და კერძოდ ცენტრალური გამგეობის დაუღალავ მუშაობას.

ა/წ. დეკემბრის 5-ს, დღის სრულ 12 ს. განათლების მუშაკთა სახლში (ტფილისში) გაიხსნება ც. გამგეობის მესამე პლენუმი, რომლის დასრულება განზრახულია დეკემბრის 6-ს საღამოს 7 საათისათვის. პლენუმის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება 1927/28 წლის ბიუჯეტის შესახებ.
(მომხს. განსახკომის წარმომადგენელი)

2. განათლების მუშაკთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში.
(მომხს. ამხ. შ. გეგენავა)

3. ძირითადი უჯრედების კულტმუშაობა.
(მომხს. ამხ. ჭეიშვილი)

4. აფხაზეთის გამგეობის საანგარიშო მოხსენება
(მომხს. ამხ. დელავერი)

5) შორაპნის სამაზრო განყოფილების საანგარიშო მოხსენება.
(მომხს. ამხ. კაპანაძე. თანამომხსენებელი ამხ. სოლომონია).

შაბათს, 12 ნოემბერს, საღ. 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგა გან. მუშ. სახლის წევრთა საერთო კრება ახალი გამგეობის ასარჩევად. კრების პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ამხ. ამხ. გეგენავა, პოღოსოვი, ჭეიშვილი და გოგლიჩიძე. კრებამ მოისმინა ამხ. ჭეიშვილის საინფორმაციო მოხსენება გან. მუშ. სახლის მომავალ მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ დაიწყო არჩევნები. გან. მუშ. სახლის გამგეობაში პერსონალური ხმის მიცემით არჩეულ იქნა 19 წევრი და 5 კანდიდატი სარევიზიო კომისიაში სამი და ერთი კანდიდატი.

ახალი გამგეობის წევრთა სია:

1. ვ. ხელაია, 2. გ. ახვლედიანი, 3. ცინაძე, 4. ისპანდიაროვი, 5. ხაჭაპურიძე, 6. მეგრაბიანი, 7. ციხელაშვილი, 8. ლოკშინი, 9. შ. ნუცუბიძე, 10. ს. გოგლიჩიძე, 11. მონატოვი, 12. ტ. ხუნდაძე, 13. მ. აბაშმაძე, 14. შ. კვაჭაძე, 15. გორინა. 16. ლეჟავა, 17. ბუდილევი, 18. აბრამიძე 19. მდივნიშვილი.

კანდიდატები.

1. აბესალაშვილი, 2. კოპალეიშვილი, 3. მოჭმელოვი, 4. ტუღუში, 5. დანოვსკი.

სარევიზ. კომ. წევრები

1. კ. ბერიძე, 2. ვაინგერი, 3. ნასიძე.

კანდიდატი

1. ალდადანოვი.

ი. ჯიშკარიანი „ტრიგონომეტრია". სამეცნიერო პედაგოგიური სექციის მეთოდორგანოს მიერ მიღებულია მე-2 საფეხ. შრ. სკოლებისათვის დამხმარე წიგნად.

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებების საბჭოს შემადგენლობა. სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილებამ შეიმუშავა და დაურიგა ყველა საბავშო სახლებს, საბავშო ბაღებს და სხვა დაწესებულებებს სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებ. საბჭოს შემადგენლობის დებულება:

საბჭო არსდება ყოველ ამ ტიპის დაწესებულებასთან.

საბჭოში წევრებათ შედიან:

1) დაწეს. გამგე (თავმჯდომარე)

2) ყველა აღმზრდელები

3) ტეხნიკურ-პერსონალის ერთი წარმომადგენელი

4) ექიმი, რომელიც მუშაობს დაწესებულებაში.
5) რაიონული პარტორგან. წარმომადგენელი
6) წარმომად. წარმოების მუშათა ქალებიდან. სოფელში—თემიდან.
7) განათლ. მუშაკთა ან მიწა-ტყის კავშირის წარმომად.
8) პიონერებ. წარმომად.
9) მშობლების წარმომადგენლები.
10) სკოლის წარმომადგენელი, რომელშიაც გადადის ბავში.

მზადება სასკოლო აღწერისათვის. სასკოლო აღწერა საქართველოში ავტონომიურ რესპუბლიკებითურთ ჩატარდება 1927 წლის 15 დეკემბერს.

მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო. 11 ოქტომბერს განათლების სახალხო კომისარიატის ყველა მთავარმმართველობათა გამგეების და წარმომადგენლების თანადასწრებით მოხდა სასკოლო სტატისტიკის გაერთიანებულ კომიტეტში სასკოლო აღწერის ყველა ფორმების განხილვა. არსებულ ფორმებს დაემატა უწყების მიერ წამოყენებული საკითხები. 26 ოქტომბერს გაიხსნა ა/კ. სასკოლო აღწერის კონფერენცია, რომელსაც დაესწრო საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის განათლების კომისარიატების და ც. სტატისტიკურ სამმართველოს წარმომადგენლები. ამ კონფერენციაზე საბოლოოდ განხილულ იქნა ყველა რესპუბლიკისათვის სავალდებულო საპროგრამო და საორგანიზაციო საკითხები.

ა/კ. კონფერენციის დასრულების შემდეგ 17 ნოემბერს მოწვეულ იყო აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების სტატ-განყოფ. გამგეების თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა აღწერის მთელი პროგრამა და საბიუჯეტო საორგანიზაციო საკითხები.

ასეთივე თათბირი 20 ნოემბრიდან ჩატარდა დასავლეთ საქართველოში ქ. ჭუთაისში, სადაც მივლენილიყო ამხ. ზ. ჩახვაძე (საქართ. ცესუდან).

ამჟამად უკვე დამტკიცებულია ცაკის მიერ დეკრეტი სასკოლო აღწერის შესახებ და ახლო ხანში დაიბეჭდება.

დაბეჭდილია აღწერის ზოგიერთი ფორმულიარები, ინსტრუქციები, მოწოდებები, თეზისები და ცირკულიარები უკვე დაგზავნილია ადგილობრივ მაზრებში.

აღწერა დაიწყება 12 დეკემბერს. აღწერის ჩასატარებლად დაარსებულია კომისია, რომელიც რესპუბლიკის მასშტაბით უხელმძღვანელებს აღწერის წარმატებით ჩატარებას.

კომისიაში შედიან: საქართველოს ცესუს მმართველი ამხ. არ. რუხაძე თავმჯდომარე, განათლ. კომ. სტატ. განყოფ. გამგე ს. ფანცხავა, ცესუს სოც. სექტორის გამგე ზ. ჩახვაძე, ცესუს სასკ. სტატ. განყოფ. გამგე თ. ჯაფარიძე და განათლ. მუშაკთა კავშირიდან ამხ. ნ. ჭეიშვილი.

კურორტებზე იგზავნებიან. განკომის. საბ. სახ. პიონერ მოძრაობის და ფიზიკურ აღზრდის ინსპექტურამ შეიმუშავა საბავშო სახლებში მოთავსებულ იმ ბავშების სია, რომლებიც უნდა გაიგზავნონ კურორტებზე.


პირველ ახალშენიდან	3	ბავში.
2 ახალშენიდან	1	„
1 საბავშო სახლიდან	4	„
მთიელთა საბ. სახლ.	4	„
2 და 3 სახლი	1	„
ს უ ლ	13	ბავში.

სომხური მუსიკალური ტეხნიკუმი აიარტუნთან არსებული მუსიკალური სტუდია 1 ნოემბრიდან გადახალისებულია მუსიკალურ ტეხნიკუმათ. ეს ტეხნიკუმი შეტანილი იქნება საერთო ტეხნიკუმების რიცხვში და მასზე გავრცელდება ტეხნიკუმის საერთო დებულება. ტეხნიკუმის დროებით გამგეთ დაინიშნა ბარხუდაროვი.

ორი კვირით შვებულება. განათლების კომისარიატმა აცნობა 1, 2 საფეხურის და სპეციალურ სასწავლებლის გამგეებს, რომ კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად ზაფხულში მასწავლებლის გარდა ყველას მიეცემა ორი კვირის შვებულება.

ი უ მ ო რ ი

ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ი ს ტ ო რ ი ა




— მე სწორედ ასეთი ცოლი მინდა. როგორიც შენა ხარ, ლამაზი, მოყვანილი, ნაკითხი...

— დამჯდარა აქ ეშმაკის ტიკინასავით და ჩაუყვია ცხვირი წიგნში, ქმარი კი ჯუჯყიანი პერანგით უნდა წავიდეს სამსახურში! ასეთი ცოლი მე არ მინდა!


— სად მქონდა თვალები, როცა ამ ჩითლახს ვირთავდი?! მუდამ რეცხავს ან სამზარეულოშია, ჩაუცმელი, თმაგაჯიჯგნილი... განა ასეთი ცოლი მინდა...

გან. მუშ. ცენტ. სახლში



მორიგი ლექციის დროს ისეთივე წესრიგი და სიწყნარე იყო, როგორც მუდამ.

საღამოობით მეცადინეობა




— ვინ დაიჯერებს ასეთ პიროებებში, რომ სწავლა სინათლეა?

საშუალო ხელფასი



მასწავლ.: არ ვიცი, რომელი ერთი დავფარო...

1926-7 წლის პრაქტიკიდან



მასწავლ. (საბანში გახვეული): აბა, ბავშებო! შემდეგი გაკვეთილისათვის მოამზადეთ თითო ნაჭერი შეშა.

ტვირთმძიმე და მაშვრალი



თანამედროვე მასწავლებელი აუტანელი ტვირთის ქვეშ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: **ა. მიქაძე.**

„განათლების მუშაკი“-ს № 2-ში.

მოთავსებული ამოცანების ახსნა

ამოცანა № 1

$X+X+{}^{1}/_{2}X+{}^{1}/_{4}X={}^{11}/_{4}X$; 100—99; $X=36$; ხეზე იყო 36 ჩიტი.

ამოცანა № 2

უმცირესი რიცხვი, დაწერილი სამი სხვადასხვანაირი ციფრით იქნება


$\frac{1}{89}$=დაახლ. $\frac{1}{124.250.000}$=0,000.000.008

ამოცანა № 3

ამ ამოცანაში გაგვეპარა კორექტორული შეცდომა—სამრავლი უნდა იყოს 235 და არა 253, როგორც დაბეჭდილია. მაშინ მამრავლი და ნაწარმოები იქნება 79 და 18.565 ან 96 და 30.560.

ამოცანა № 4

პასუხი ნათელია აქ მოთავსებული სურათისაგან.



ფასი 40 კაპ.

გ 20 ძუ
1927



შეკვ. № 344 მთავ. № 2085 ტირაჟი 2.500
სტამბა „ზარია ვოსტოკა"-სი, წულუკიძის ქ. № 4.